# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 2 ნოემბერი, 2012 წელი.

№211 (7087)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ლევან ვარშალომიძე წავიდა, მიხეილ მახარაძე პარლამენტშია, აჭარა თავისუფალია?



ახალმა ხელისუფლებამ აჭარაშიც ჩამოაღწია. მოლოდინი დიდია. გამოწვევებიც – არანაკლები. ვნახოთ, უკანანი წინათა შეცდომებზე რას ისწავლიან, და რას – არა!

3




## გამომცემლობა „სამშობლო“ – პრესის სახლი

ახალი ხელისუფლების მიერ ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრების საშვილიშვილო საქმეში, დიდი იმედია, აუცილებლად გათვალისწინებული იქნება სამშობლოს მსახური ჟურნალისტებისთვის წართმეული გამომცემლობა „სამშობლოს“ დაბრუნება პრესისთვის, რომელიც მთელი შემართებით მხარში ედგა დემოკრატიის, თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის ბრძოლას, ანუ იმ ჭეშმარიტად სახალხო ძალას, ეს სამართლიანობა ერთხელ და სამუდამოდ რომ უნდა დაამკვიდროს საქართველოში!..

## „შენობებში შეჭრის უკან საბოტაჟით დაინტერესებული ძალები დგანან“

4

## ახალი მთავრობის გეგმა სოციალურად დაუცველთა დასახმარებლად

7



## „შსს-ს ეზოში დააზიანეს პოლიციელის მანქანა, რომელსაც თითქოს ვაზაგაშვილის მანქანიდან ესროლეს“

5




## სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ეკონომიკური ასპექტები

6

## „ქართული ოცნება“: სააკაშვილის ნეიტრალიზაცია

8

## საჭიროა თუ არა სკოლაში მანდატური?

9

დანიშვნები

# რუსეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლად



**საქართველოს პრემიერ-მინიტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების საკითხებში საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთში ზურაბ აბაშიძე იქნება.**

ამის შესახებ ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ თავად ზურაბ აბაშიძემ დაუდასტურა.

მისი თქმით, შეთავაზება პირადად პრემიერ-მინისტრ ივანიშვილისგან დაახლოებით 10 დღის წინათ მიიღო.

# მთავრობის კანცელარიის უფროსად მაია ცქიტიშვილი დაინიშნა

**მთავრობის კანცელარიის უფროსის თანამდებობა აღდგა და ამ პოსტზე პრემიერ-მინისტრმა მაია ცქიტიშვილი დანიშნა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ცქიტიშვილმა განუცხადა და აღნიშნა, რომ მუშაობას ოფიციალურად დღეიდან შეუდგა.**

ახალ თანამდებობაზე გადასვლამდე მაია ცქიტიშვილი საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებაში“ მუშაობდა.

სახელმწიფო კანცელარიის უფროსს პრემიერ-მინისტრი ნიშნავს და ათავისუფლებს. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ეს თანამდებობა პეტრე მამრაძესა და კახა ბენდუქიძეს ეკავათ.

რეგიონი

# აჭარის მთავრობა დამტკიცდა

**აჭარის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სხდომამ 13 ხმით არც ერთის წინააღმდეგ მთავრობა დაამტკიცა. ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის„ 8 წევრმა კენჭისყრისას თავი შეიკავა.**

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ **არჩილ ხაბაძემ** უმაღლეს საბჭოს ოთხი მინისტრი წარუდგინა დასამტკიცებლად. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრად **გიორგი თავართქილაძე** დაინიშნა, რომელიც „ვითიბი ბანკის“ აჭარის ფილიალის დირექტორი იყო; აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი **ნუგზარ სურმანიძე** გახდა, რომელიც ამავე სამინისტროში მუშაობდა.

აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრი **გია თავამაიშვილი** გახდა, რომელიც აჭარაში ერთიანი ეროვნული გამოც-



დების ცენტრს ხელმძღვანელობდა; აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრად კი **ზაურ ფუტკარაძე** დაინიშნა, რომელიც „ფერმერთა სახლის“ მეპატრონეა.

უმაღლეს საბჭოში მოწვეული სტუმრის სტატუსით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილიც იმყოფებოდა, რომელმაც აჭარის მოსახლეობას მთავრობის დამტკიცება მიულოცა, ხოლო მინისტრებს წარმატებები უსურვა.

გლობალური პრობლემა

# ვინ უნდა აკონტროლოს კორუფცია საქართველოში?



**იმისთვის, რომ, მაგალითად, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები მომავალში საეჭვოდ არ გამდიდრდნენ, ძველებს უკვე დაგროვილი ქონების წარმოშობა რეალურად შეუმოწმდეთ და შესაძლებელი გახდეს ელიტური კორუფციის ფაქტების გამოაშკარავება, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები კონტროლის ახალი მექანიზმების დანერგვის ინიციატივით გამოდიან. მათი რწმენით, ჯერ ისევ მოქმედი უწყებათშორისი ანტიკორუფციული საკოორდინაციო საბჭო დამოუკიდებელი სტრუქტურით უნდა შეიცვალოს.**

იმისათვის, რომ ეფექტიანი კონტროლი განხორციელდეს, არასამთავრობო სექტორის აქტიურობის გზით საზოგადოება უნდა იყოს ჩართული კორუფციული სქემების აღმოჩენის პროცესში, - ამბობს რადიო თავისუფლებასთან საუბრისას საარჩევნო და პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრის დირექტორი კახი კახიშვილი, რომელიც კიდევ ერთხელ გამოდის დამოუკიდებელი ანტიკორუფციული საბჭოს შექმნის ინიციატივით. მისი იდეის მიხედვით, კორუფციული სქემებისა თუ რისკების გასაკონტროლებლად უნდა შეიქმნას პარიტეტულ საწყისებზე დაკომპლექტებული საბჭო, რომლის ერთ ნახევარსაც არასამთავრობო და მედიაორგანიზაციები წარმოადგენენ, ხოლო მეორე ნახევარი სახელმწიფო სტრუქტურებს დაეთმობა. კახიშვილის განმარტებით, ცხადია, საბჭო სამართალდამცველი სტრუქტურების მუშაობაში არ ჩაერევა, მაგრამ მან უნდა დააკმაყოფილოს საზოგადოების ინტერესი - პასუხი უნდა გასცეს წინა წლებში დასმულ შეკითხვებს და იფიქროს სამომავლო პრობლემების გამოვლენასა თუ პრევენციაზე.

ერთია, რომ სახელმწიფო მოხელეს ევალება მხოლოდ დეკლარაციის შევსება, მაგრამ რას ჩაწერს შიგნით, —საერთოდ ზეტები რომ დაუსვას, - ამაზე რეაგირებას არავინ არ ახდენს, თუ არ იქნა კონკრეტული დავალება ამ ჩინოვნიკის შესახებ, რაც ჩვენ გვახსოვს ამ წლების მანძილზე... კახი კახიშვილი.

ახალი მაკონტროლებელი საბჭოს შექმნის ინიციატივით კახი კახიშვილი ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მარტში გამოვიდა, მაგრამ უყურადღებოდ დარჩა მისი მიმართვა პრეზიდენტ სააკაშვილისადმი. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი ახლა უკვე ახალი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის პასუხს ელოდება. პირადად მის სახელზე კანცელარიაში შეტანილი განცხადების განხილვის ათდღიანი ვადის ათვლა 30 ოქტომბერს დაიწყო. კახი კახიშვილი იმედოვნებს, რომ ჯანსაღი სტრუქტურა შეცვლის დღემდე არსებულ უწყებათშორის საბჭოს, რომელიც ისედაც ვერ ებრძოდა კორუფციას.

საუბარია 2008 წელს დაარსებულ უწყებათშორის საკოორდინაციო ანტიკორუფციულ საბჭოზე, რომელსაც საქართველოს იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობდა და რომელიც ძირითადად სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლებისგან იყო დაკომპლექტებული. ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, 23-კაციანი საკოორდინაციო საბჭო, სადაც მხოლოდ 5 არასამთავრობო ორგანიზაცია იყო წარმოდგენილი, ძირითადად ორიენტირებული იყო „ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლებასა და მათი შესრულების კონტროლზე, საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ანგარიშების კონტროლზე, შესაბამისი საკანონმდებლო საქმიანობის ინიცირებასა და რეკომენდაციების მომზადებაზე“. საგულისხმოა, რომ საბჭო უფლებამოსილი არ იყო რეაგირება მოეხდინა კორუფციის ამა თუ იმ გამოვლინებაზე.

ეს რომ ასე იყო, რადიო თავისუფლებასთან საუბრისას ხსენებული საკოორდინაციო საბჭოს ერთ-ერთი წარმომადგენელი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი **ეკა გიგაურიც** ადასტურებს:

„მას არ ჰქონდა უფლება, რომ გამოძიება ეწარმოებინა და გარკვეული რეაგირება გაეკეთებინა კორუფციის ფაქტებზე. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც შეიძლება ჰქონდეს უწყებას ან სტრუქტურას, რომელიც ებრძვის კორუფციას“.

ეკა გიგაური, რომლის ორგანიზაციაც სისტემატურად აქვეყნებს კვლევებს კორუფციის მდგომარეობის შესახებ საქართველოში, აუცილებლად მიიჩნევს დამოუკიდებელი და ეფექტიანი მაკონტროლებელი სამსახურის შექმნას კორუფციის თუნდაც ისეთი ფორმების მონიტორინგისთვის, როგორიცაა, მაგალითად, თანამდებობის ბოროტად გამოყენება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ამბობს, რომ ზედა ეშელონებში კორუფციის არსებობასთან დაკავშირებით კვლავაც არაერთი კითხვის ნიშანი რჩება, მაშინ როცა ბოლო წლებში აშკარად მოხერხდა წვრილმანი კორუფციის დამარცხება. დამოუკიდებელი სამსახურის შექმნასთან დაკავშირებული ახალი კონკრეტული წინადადებებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ სულ მალე იუსტიციის მინისტრთან გეგმავს შეხვედრას. თუკი ეკა გიგაური მეტ-ნაკლებად იცნობს კახი კახიშვილის ინიციატივას, კახიშვილს ჯერ არაფერი სმენია იმ ინიციატივის შესახებ, რომელზეც გიგაურის ორგანიზაცია მუშაობს. თუმცა, სამომავლოდ გამორიცხული არ არის, რომ არასამთავრობო სექტორის წიაღში წარმოქმნილი ინიციატივები საბოლოოდ ერთმანეთთან შეჯერდეს.

**ლელა კუნჭულია,**
**რადიო „თავისუფლება“**

პრესკონფერენცია

# „მასმედიის სახლი“ „სამშობლოს“ ჟურნალისტებისთვის დაბრუნებას მოითხოვს

**ამასთან დაკავშირებით, „ინტერპრესნიუსის“ ოფისში „მასმედიის სახლის“ წარმომადგენლებმა და „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა პრესკონფერენცია გამართეს.**

**მათი შეფასებით, 2007 წლის 10 აგვისტოს, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაში განთავსებული 100-მდე საინფორმაციო საშუალების მიმართ ვანდალური აქტი განხორციელდა.**

„პოლიციისა და თბილისის მერიის ზედამხედველობის თანამშრომლებმა სასამართლოს სანქციისა და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაიწყეს „სამშობლოს“ შენობაში განთავსებული რედაქციების კუთვნილი ქონების, სარედაქციო არქივის, აპარატურის გარეთ გამოყრა და სამუშაო ოთახების დაცლა. ამ ძალადობრივი და უსამართლო აქციის შედეგად, ღია ცის ქვეშ დარჩა რამდენიმე ათეული ჟურნალ-გაზეთის რედაქცია, რომელთაგან ძალიან ბევრის გამოცემა შეწყდა. ეს ვანდალური ფაქტი სიტყვის თავისუფლებაზე, დამოუკიდებელ მედიაზე ზეწოლად იქნა შეფასებული“, — აღნიშნა „მასმედიის სახლის“ თავმჯდომარემ ლამარა გიორგაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოს პრეზიდენტმა არ გაითვალისწინა გამომცემლების თხოვნა „სამშობლოს“ პირდაპირი მიყიდვის წესით მათთვის გადაცემის თაობაზე და შენობა კაზინოების მფლობელ თემურ უგულავას პირდაპირი მიყიდვის წესით გადასცა.

ამასთან, „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარის ზაზა ხატიაშვილის თქმით, აღნიშნული შენობა „უგულავების კლანის საკუთრება გახდა“. მისივე თქმით, იმისთვის, რომ დამოუკიდებელმა მედიამ კონკურენტულ გარემოში იფუნქციონეროს, აუცილებელია „სამშობლოს“ შენობა ჟურნალისტებს დაუბრუნდეს.

ამასთან, „მასმედიის სახლი„ პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილსა და საქართველოს პარლამენტს „სამართლიანობის აღდგენაში დახმარების“ თხოვნით მიმართავს. ორგანიზაცია უახლოეს მომავალში პროკურატურაში განაცხადს შეიტანს.



SIC!

# პარლამენტის ახალი შენობა - სამართლებლივი შესწავლის საგანი

**დეპუტატთა ჯგუფი, რომელიც ქუთაისში პარლამენტის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს სწავლობს, მიიჩნევს, რომ ახალი შენობის თემა სამართლებლივი შესწავლის საგანი უნდა გახდეს.**

**ამასთან, მათი მონაცემებით, პარლამენტის მშენებლობისთვის 360 მილიონი ლარი უკვე დაიხარჯა, დარჩენილია დამატებით 20-30 მილიონი ლარის სამუშაოები.**

ქუთაისში აშენებულ პარლამენტის შენობასთან დაკავშირებით დეპუტატთა ჯგუფი დახურულ ფორმატში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებს შეხვდა.

როგორც შეხვედრის შემდეგ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ხელმძღვანელმა ზურაბ ტყემალაძემ განმარტა, მშენებლობის დამკვეთია შპს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო, რაც არასწორია.

„როგორც ირკვევა, სააგენტომ არ იცის, რა უნდა გაკეთებულიყო. კერძოდ, ვიღაც მშენებლებს ეტყოდა: ეს უნდა გაკეთდესო, ისინი კი, უპასუხებდნენ: ამდენი უნდა გადაიხადოთო და პროცესი ამ დონეზე მიმდინარეობდა. პარლამენტის თავმჯდომარეს რეკომენდაციით მივმართავთ, რომ საკითხის სამართლებლივი შესწავლა მოხდეს,



რადგან ის საკმაოდ სერიოზულ სამართლებლივ შესწავლას მოითხოვს“, “ განუცხადა ჟურნალისტებს ზურაბ ტყემალაძემ.

მისივე თქმით, პარლამენტის შენობისთვის დახარჯულია 360 მლნ ლარი და სამშენებლო პროცესის დასრულებას დამატებით 20-30 მლნ. ლარი სჭირდება, თუმცა, უნდა დასრულდეს თუ არა მშენებლობა, ტყემალაძე ვერ აკონკრეტებს.

„პროექტი ხელთ ჯერ არ გვაქვს და არ ვიცით, რა უნდა გაკეთდეს. შენობა ექსპლუატაციაში შესული არ არის და მის მდგრადობაზე დასკვნა არ არსებობს. პრინციპში, კანონს ვარღვევთ, რადგან ექსპლუატაციას ვუწევთ შენობას, რომელიც ვისი საკუთრებაა, ვერ გავარკვიე“, — აღნიშნა ზურაბ ტყემალაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## აჭარა: გუშინ, დღეს... ხვალ?

# ლევან ვარშალომიძე წავიდა, მიხეილ მახარაძე პარლამენტშია, აჭარა თავისუფალია?

**ახალმა ხელისუფლებამ აჭარაშიც ჩამოაღწია. მოლოდინი დიდია. გამოწვევებიც — არანაკლები. ვნახოთ, უკანანი წინათა შეცდომებზე რას ისწავლიან, და რას — არა!**



**2004 წლის 5 მაისი. ბათუმი. მიხეილ სააკაშვილი: ასლანი წავიდა, აჭარა თავისუფალია.**

**2012 წელი 29 ოქტომბერი. ბათუმი. ლევან ვარშალომიძე უხმაუროდ წავიდა.**

თუმცა აჭარა არაა თავისუფალი. აჭარას ახლა მძიმე დღეები უდგას. ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონები მთლიანად ნაცმოძრაობის ხელშია. აქ „ქართულმა ოცნებამ" პროპორციული და მაჟორიტარული არჩევნები წააგო. ბათუმში, ქობულეთსა და ხელვაჩაურში კი მოიგო. თუმცა რად გინდა — ბათუმის მერია, რაიონების გამგეობები და საკრებულოები ნაცმოძრაობის ხელშია. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ბათუმში — აჭარის ადმინისტრაციულ ცენტრში. ეს სტატუსი 2004 წლის აჭარის რევოლუციის შემდეგ ბათუმს ნაციონალურმა ხელისუფლებამ უზოძა. ვითომდა დედაქალაქი რომ რქმეოდა ბათუმს, ამით რა დაშავდებოდა? ასეთი და სხვა ამგვარი ათასი სისულელით შეაძულეს თავი ბათუმს და სრულიად საქართველოს ვარდოსნებმა.

1 ოქტომბრის არჩევნებისას ბათუმის მერის სავარძელი თავისუფალი იყო, რადგან ნამერალი რობერტ ჩხაიძე კენჭს აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად იყრიდა. სიით გავიდა. მერის თავისუფალ ადგილზე სასწრაფოდ დაინიშნა მერის მოვალეობის შემსრულებელი — ვიცე-მერი ჯემალ ანანიძე. რადგან ამ უკანასკნელს მაღალ პოლიტიკურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა, მერიის ნაცშემადგენლობა აჭარის უმაღლესი საბჭოს აწ დაშლილი დეპუტაციის უმრავლესობის თავმჯდომარით, ანუ ნაცმოძრაობის ლიდერით გელა დეკანაძით გაამაგრეს და იგი მერის მოადგილის ახალშემოღებულ პოსტზე განამწესეს. საკრებულოს შემადგენლობა ხომ მთლად ნაცებითაა გაძეძგილი. ერთი სამკაციანი ოპოზიციური ფრაქციაა. საწყლები კი გაჰყვირიან სხდომებზე, ნუ დააქცევთ ბათუმს და ნუ გაყვლეფთ ქვეყანასო, მაგრამ დღემდე ნაცები მათს თავგამოდებაზე სიცილით კვდებიან და თავისას უზერავენ.

ეს კიდევ არაფერი — ახლა ამბავს გეტყვით, ყურით არ გაიგონება. ხომ ამ დღეშია ქვეყანა, ხაზინა ცარიელიაო, იძახის ახალი ხელისუფლება და მეც სხვა რა გზა მაქვს, მჯერა მათი. ქვეყნის ამომგდებელია ნაცმოძრაობაო, იძახის „ქართული ოცნება" და მეც მჯერა ეს. ირკვევა, რომ ამ გაჭირვების ჟამს, თურმე, 2012 წლის ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობები 4 მილიონ 689 ათასი ლარით მცირდება. ამის მიზეზი კი საინვესტიციო საპროგნოზო შემოსულობების შეუსრულებლობა ყოფილა. შემცირდა ქალაქის კეთილმოწყობის პროგრამა. 700 ათასი ლარით შემცირდა ქალაქში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მოპირკეთების პროგრამა. **იმ ფონზე, როცა ნიცად და სან-რემოდ, თუ დუბაიდ „ქცეულ" ბათუმში აუარება პრობლემა და ღარიბ-ღატაკია, ბიუჯეტი კი კატასტროფულად მცირდება, საკრებულო და მერია ხელფასებს იზრდიან. ბათუმის საკრებულოს ბოლო სხდომაზე მერიის ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების მუხლები თითქმის ერთი მილიონი ლარით გაიზარდა.** აქედან 69 ათას 200 ლარი საკრებულოს ბიუჯეტს დაემატა, ხოლო დაახლოებით 888 ათასი ლარი მერიის შესაბამის მუხლებზეა გაწერილი. როგორც ჩემმა ინფორმატორმა მერიიდან მაცნობა ამ თანხის დიდი ნაწილი აჭარის ყოფილი უმაღლესი საბჭოს იმ ნაცმოძრაობის ნადეპუტატარი და სხვა მუშაკებისთვისაა განკუთვნილი, რომელთა ნაწილი ამ ორგანოდან უკვე დათხოვნილია და ზოგსაც, სავარაუდოდ, მალე დაითხოვენ. **ამ ხალხს აქედანვე უქმნის ნაცმოძრაობა სასათბურე პირობებს. რა იცი, ვინ, როდის, სად დასჭირდებათ!**

წინა, 2008 წლის მოწვევის უმაღლესი საბჭოს ყოფილი ნაცდეპუტატები ერთ დღესაც არ დარჩენილან უმუშევრად და მაღალი ხელფასების გარეშე. ზოგი იქვე, უმაღლეს საბჭოში დატოვეს, ზოგიც ლევან ვარშალომიძის აპარატში ახალგამოგონებულ მრჩევლებისა თუ სხვა თანამდებობაზე გამწესდა. ვინც დარჩა, ისინიც აჭარის სამინისტროებში მოკალათდნენ თბილ ადგილებზე და დღემდე უდრტვინველად ატარებენ წუთისოფელს. ეს მაშინ, როცა მაღალკვალიფიციური, პატრიოტი კადრები უმუშევრად და ულუკმაპუროდ არიან. უმცირესობის წარმომადგენლებმა საკრებულოს სხდომაზე საინტერესო ფაქტები გაახმაურეს. კერძოდ — ის, რომ **თურმე შარშან 36 მილიონი ლარით არ შესრულდა ბათუმის ბიუჯეტი, წელს იგივე მაჩვენებელი 40 მილიონი ლარი იქნებაო,** ჩივიან ისინი. შარშან 500 ათასი ლარი მორჩა საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაციის პროგრამას. საკრებულოს ოპოზიცია ეჭვობს, რომ ეს ფული რეალურად არ არსებობდა და ამიტომ „მორჩა". **საინტერესოა, ამ წვიმიან ბათუმში, ყოველ მეორე სახლში წყალი რომ ჩამოდის, ნახევარი მილიონი ლარის კუპიურები რომ დაეწყოთ სახურავებზე, რამდენ სახლს ეყოფოდა?**

უამრავი თავსატეხი აქვს უმაღლესი საბჭოს ახალ თავმჯდომარეს ავთანდილ ბერიძეს. აქ თბილ სავარძლებში, გაბერილ შტატებზე „დასაქმებული" უამრავი თანამშრომელი დახვდება მას. კაცმა არ იცის ამ ხალხის ნაწილი რა ნიშნით მოხვდა სამუშაოზე. როგორც ამბობენ, წინა თავმჯდომარის კეთილგანწყობით დასაქმდნენო. იმ საბჭოზეა ლაპარაკი, მთვლემარე პარლამენტს რომ უწოდებენ ბათუმელები. ავთანდილ ბერიძეს ძველების გამოღვიძება და უმაღლესი საბჭოს რვა ნაციონალი და 13 „ქართული ოცნების" წარმომადგენელი დეპუტაციის კონსოლიდაცია მოუწევს, რაც, როგორც პირველმა სხდომებმა აჩვენა, ადვილი საქმე არ იქნება. რადგან ნაცდეპუტაციამ ყველა კენჭისყრას ბოიკოტი გამოუცხადა. პირველი სხდომის განმავლობაში ნაცები ისეთი სახეებით ისხდნენ, ვითომდა წინ მიცვალებული ედოთ და გლოვობდნენ. ერთადერთი მაშინ გაეხსნათ სახე და გამხიარულდნენ, როცა პირველი სხდომის პირველმა წამყვანმა, „ქართული ოცნების" უხუცესმა დეპუტატმა ტრიბუნაზე მცირე ლიტერატურული სალამო მოაწყო და გაურკვეველი წარმომავლობის ლექსები წაიკითხა. როგორც შეკრებილებმა გავიგეთ, ერთი მათგანი ბიძინა ივანიშვილისადმი იყო მიძღვნილი. ამან ქვემო ქართლის გუბერნატორის, ავად სახსენებელი ქარელის ისტორია გამახსენა — საბავშვო ბაღში რომ მიიწვიეს და პატარებმა მასზე მიძღვნილი ლექსები წაუკითხეს. მაშინ ერთხელ კიდევ შემეცოდა ჩემი ქვეყანა და ჩემი თავი. ახლა? ახლა, მით უმეტეს. იუმორი მინდა შევუქო პრემიერ-მინისტრს. შესვენება რომ გამოცხადდა, ბატონი ბიძინა ჟურნალისტებმა დარბაზიდან არ გავუშვით. ისიც სიამოვნებით დაგვთანხმდა ინტერვიუზე. ჩვენთან საუბარში ჩართულმა დრო იხელთა და იქვე მდგომ მელექსე დეპუტატს ხმადაბლა უთხრა: **ეგ ლექსები როგორმე თბილისში მომაწოდეო.**

**ბაბუაჩემი მასწავლიდა, კაცს იუმორის გრძნობა თუ აქვს, იგი უკვე ნიჭიერიაო. ჰოდა, მგონი გვეშველა.**

აჭარის უმაღლეს საბჭოში ყველა თანამდებობა თავმჯდომარის, მისი მოადგილის, კომისიის თავმჯდომარეებისა, „ქართულმა ოცნებამ" დაიკავა. ეტყობა, ნაცმოძრაობას გამოხრული ძვალიც არ მოუწევს. არადა, ეს თურმე მათივე ბრალი ყოფილა. როგორც გამარჯვებული კოალიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რა ჩვენი ბრალია, მათ უმაღლეს საბჭოში თანამდებობები თუ არ მოუწიათ, ასეთი რეგლამენტი თავად მიიღეს, როცა უმრავლესობაში იყვნენო. **ახლებმა პირობა დადეს, ჩვენ ამ რეგლამენტს აუცილებლად შევცვლით და მომავალ არჩევნებში გასულ ოპოზიციურ პარტიებს უკეთეს პირობებს დავახვედრებთო.**

მახსოვს, აჭარის რევოლუციის შემდგომ შექმნილმა უმაღლესმა საბჭომ ასი დღის იუბილე გადაიხადა. არ იფიქროთ, ვხუმრობდე, დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს ასი დღის კანონშემოქმედებითი საქმიანობა. მაშინ ვკითხე მიხეილ მახარაძეს, რა მიგაჩნიათ ახალი უზენაესი საბჭოს ასდღიანი საქმიანობის მთავარ წარმატებად-მეთქი. **სიამაყით მიპასუხა, ასლან აბაშიძის დროს მიღებული კანონების გაუქმებაო.**

**ამის მერე დღემდე რით დაამახსოვრა თავი აჭარას, ან სრულიად საქართველოს ამ ორგანომ, ძნელი სათქმელია,** თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ხალხის რჩეულებმა რამდენჯერმე იმსჯელეს დეპუტატებისა და აპარატის მუშაკების სახელფასო, საპრემიო თანხების გაზრდისა და მათი სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების თაობაზე. იმდენი იმსჯელეს, რომ, როგორც ადგილობრივი პრესა წერდა, თავად თავმჯდომარემ და მისმა „ლიუბიმჩიკებმა" 2011 წლის ბოლოს რამდენიმე ათასი ლარი მიიღეს თითოეულმა პრემიის სახით. **ნუ გაუმტყუნებთ, ახლა ამ ხალხს რომ ემწაროთ ასეთი აწყობილი ცხოვრების დანგრევა და ხასიათზე ვერ იყვნენ.**

ბუდე დაეშალათ აჭარის მთავრობის წევრებსაც და აქ მოკალათებულ აპარატჩიკებსაც. ლევან ვარშალომიძეს რა ენაღვლება, როგორც მიხეილ მახარაძეს უპატრონა პრეზიდენტმა და ნაცსიით საქართველოს პარლამენტში დასვა, ისე მიხედავს თავისი ინსტიტუტის მეგობარსა და თანამზრახველსაც. მაგრამ რა ეშველება მის მრჩევლებსა და სხვებს, რომლებიც კარგა ხანს ბაირამობდნენ მთავრობის ახლაგაზრდა თავმჯდომარის მფარველობით? თან, არ დაგავიწყდეთ, ორ-სამ ადგილზე მუშაობდნენ.

ბაირამზე გამახსენდა. ნეტავ თუ დარჩება მრჩევლის პოსტზე ბათუმის ჯამეს ყოფილი მუფტი ბექირ ბოლქვაძე? ეს ის მუფტია, რომლის ძალისხმევით არა მარტო აჭარიდან, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებიდანაც თურქეთის სასულიერო სასწავლებლებში სამი ათასამდე ახალგაზრდა გაიგზავნა ისლამის დოგმების შესასწავლად. ამასთან დაკავშირებით ბათუმის უნივერსიტეტის ლექტორმა, სოციოლოგმა ნუგზარ ჩხაიძემ შოკის მომგვრელი ინფორმაცია მომაწოდა. **ამ გაგზავნილ ახალგაზრდებსა და მათს მშობლებს ემისრებმა გარანტიები მისცეს, რომ მათი შვილები თურქეთიდან დაბრუნების შემდგომ სახელმწიფო სამსახურებში დასაქმდებიანო.** აბა, 3 ათასი მოლა და ხოჯა საქართველოში პროფილის მიხედვით სად უნდა წავიდეს? ავშენებულვართ და ეგაა, ნაცმოძრაობის მიერ სამუშაოებიდან პოლიტიკური სარჩელით გაყრილ პროფესიონალებს ვერც ახლა გვიშოვია სამუშაო. მე სხვასაც ვტირი და ჩემს თავსაც, თორემ მაგათ, ალბათ, ისევ გამოუჩნდებათ პატრონი და ჩვენ გვეტყვიან, რელიგიური ნიშნით არ უნდა დაიჩაგროს არავინო. „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო" და სხვა სოროსისტული, ეგრეთ წოდებული, სამოქალაქო სექტორი იყოს კარგად და მაგისთანებს საქართველოში დამცველ-გულშემატკივარი არ მოაკლდებათ.

იხ. 4 გვ.

## ინფორმაცია



# პროკურატურას გამოძიებას სთხოვენ

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა საქართველოს მთავარ პროკურატურაში არჩილ კბილაშვილის სახელზე განცხადება შეიტანეს. როგორც ჟურნალისტებს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთმა სტუდენტმა ალექსანდრე კობაიძემ განუცხადა, ისინი მოითხოვენ გასული წლის 26 სექტემბერს მომხდარი ფაქტის გამოძიებას.**

**კობაიძის თქმით, 2011 წლის 26 სექტემბერს რექტორის კაბინეტის მისაღებიდან გაიტაცეს ოთხი მოშიმშილე სტუდენტი და მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვში ჩამოსვეს. კობაიძის თქმით, აუცილებლად უნდა დაისაჯონ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაშინდელი თვითმმართველობის თავმჯდომარე გიორგი კუდუნაშვილი, რომელიც ახლა უნივერისტეტის მენეჯერია, ასევე, უნივერსიტეტის სპორტის, კულტურის და სტუდენტებთან ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ბორის გოთოლონდია, დაცვის უფროსი რეზო კელდიშვილი და უშიშროების მე-3 განყოფილების უფროსი ლევან ტატიშვილი, რომელიც, კობაიძის თქმით, ამჟამად გაუჩინარებულია.**

**„აუცილებლად უნდა მოხდეს ამ ფაქტების გამოძიება. ჩვენ ერთი წლის შემდეგ იმიტომ გადავწყვიტეთ განცხადების შემოტანა, რომ წინა ხელისუფლების დროს აზრი არ ჰქონდა სასამართლოში ჩვენი მხრიდან სარჩელის შეტანას", — განაცხადა ალექსანდრე კობაიძემ.**

ინტერპრესი

აჭარა: გუშინ, დღეს... ხვალ?

# ლევან ვარშალომიძე წავიდა, მიხეილ მახარაძე პარლამენტშია, აჭარა თავისუფალია?

(მესამე გვერდიდან)

30 ოქტომბერს აჭარაში დასრულდა ახალი ხელისუფლების უმაღლესი რგოლების ფორმირება. ლეგიტიმური გახდა აჭარის უმაღლესი საბჭო. ამ დღეს დაინიშნა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე. ეს თანამდებობა დაიკავა „ქართუ ბანკის" ბათუმის ფილიალის მმართველმა არჩილ ხაბაძემ. აჭარის უმაღლეს საბჭოში დამტკიცების შემდგომ მან მთავრობის თავმჯდომარის რანგში პირველი ბრიფინგი გამართა, რომელზეც განაცხადა, რომ პრიორიტეტით ისარგებლებს ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. გადაიხედება ის პროექტები, რომლებიც ხორციელდება და რომელთა განხორციელებაცაა განზრახული. უმაღლესი საბჭოს უმცირესობამ – ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა კენჭისყრაში მონაწილეობა არც ამჯერად მიიღეს. განცხადებაც ჩვეულებრივი იყო. ჩვენ მთავრობის ახალი თავმჯდომარის დანიშვნაზე პასუხისმგებლობას არ ვიღებთო.

არჩილ ხაბაძე მთავრობის აპარატს იმავე დღეს წარუდგინეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მანანა კობახიძემ, მოადგილემ მურმან დუმბაძემ და აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ავთანდილ ბერიძემ. გარკვეულია აჭარის ოთხივე მინისტრის ვინაობა. მალე ისინი დაიკავებენ განათლებისა და კულტურის, სოფლის მეურნეობის, ფინანსთა და ეკონომიკის და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრების სავარძლებს. ვინ იქნებიან მოადგილეები, ამაზე ჯერ არ საუბრობენ არადა, ფაქტი ერთია: ჯერჯერობით აჭარაში ყველა სახელმწიფო სტრუქტურის ხელმძღვანელი არა მარტო ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები არიან, რომლებიც სარგებლობდნენ ლევან ვარშალომიძისა და მიხეილ მახარაძის პირადი სიმპათიებითა და მათი ნდობითაც იყვნენ აღჭურვილი. რაც შეეხება პროფესიონალიზმს, იგი წინანდელი ხელისუფლებისგან დიდად დაფასებული არ ყოფილა. თანამდებობაზე დანიშვნისას მთავარი ამ ორ კაცთან მახლობლობა და მათი პირადი ერთგულება იყო. როგორ მოახერხებენ ამ უკუღმართი ტრადიციის დარღვევას ავთანდილ ბერიძე და არჩილ ხაბაძე, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ჯერჯერობით არაფერი ისმის აჭარაში ათასობით უმიწოდ დარჩენილი გლეხის პრობლემებზე. მიწების წართმევის თემა აჭარაში ერთ-ერთი მტკივნეულია და ახალ ხელისუფლებას ეს მძიმე მემკვიდრეობაც ერგო. ავტონომიურ რესპუბლიკაში მწვავედ დგას სახელმწიფო ქონების ერთ ლარად, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, უფასოდ გასხვისების პრობლემა. **საზოგადოებას აინტერესებს, რა ქონებაა გაცემული უფასოდ, ვის და რა პირობებით მიეცა წინა თაობების ნაოფლარი, რომელიც ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების საკუთრება იყო და არა ერთი და ორი კაცის ნებით განსაკარგავი.** ახალი ხელისუფლება ვალდებულია, დაიწყოს ამ საკითხის შესწავლა და საზოგადოებას მიაწოდოს სრული ინფორმაცია. როგორც ამბობენ, არაა გამორიცხული კულისებს მიღმა გარიგებების ნიშნებიც გამოიკვეთოს.

აჭარის ახალ ხელისუფლებას ასევე მოუწევს, საზოგადოებას აცნობოს პროკურატურაში არსებულ იმ საქმეებზე, რომლებიც შეეხება სხვადასხვა უწყებაში თავის დროზე აღმოჩენილ დარღვევებს. კერძოდ, აჭარის სკოლების რეაბილიტაციისას და აჭარის ტელევიზიასა და რადიომაუწყებლობაში კონტროლის პალატის მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული შემოწმების მასალებს.

აჭარაში, რაც თავი მახსოვს, საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევდა ხელისუფლების საკადრო პოლიტიკა. როგორ გაართმევს ახალი მთავრობა და უმაღლესი საბჭო ამ პრობლემებს თავს, ამაზე მხოლოდ დრო გასცემს პასუხს. **მე თუ მკითხავთ, ავთანდილ ბერიძესაც და არჩილ ხაბაძესაც ჯერ ნაცმოძრაობის მიერ სხვადასხვა საჯარო უწყებებში ჩანერგილი კადრების გადარჩევა-გაშვება მოუწევთ, მერე კი მათს ადგილას პროფესიონალების შერჩევა და დანიშვნა. თუ იმ გზით წავიდნენ, რა გზითაც წინა ხელისუფლება, ანუ თანამდებობებზე დანიშნეს ხელისუფლება-მეგობრები ან ისინი, ვინც ოცნების დროშებს აფრიალებდა და ამ მაისურებით დღესაც დადის და მაღალ თანამდებობებს უმიზნებს, ისინიც ისე დაასრულებენ, როგორც ნაცმოძრაობამ დაამთავრა.**

ყველაზე დიდი საკადრო პრობლემა, რაც ახლა ჩანს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ადგილობრივი მმართველობის ნაცმოძრაობის ორგანოებშია. ეს საკითხი თბილისშიც არანაკლებ აწუხებთ. „საქართველოს რესპუბლიკა" ამ თემაზე ქალბატონ მანანა კობახიძეს მისი ბათუმში ყოფნისას ესაუბრა.

**— ქალბატონო მანანა, საქართველოს ყველა რეგიონში კერძოდ, აჭარაში ყველა მუნიციპალიტეტსა და სოფელში მმართველობას ნაცმოძრაობის მიერ დანიშნული კადრები ახორციელებენ. ეს ცენტრალურ ხელისუფლებას პრობლემებს არ უქმნის?**

— ეს, რა თქმა უნდა, ძნელი დაბრკოლებაა. როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი აცხადებს, რომ იგი ოპოზიციაშია, როცა ყველა მმართველ რგოლში მისი პარტიის წარმომადგენლები არიან, მოქმედ ხელისუფლებას პრობლემები ექმნება. ეს ფაქტია. ცენტრის მიერ განხორციელებულ სოციალურ, თუ სახელმწიფო პროგრამას ადგილობრივი ხელისუფლება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, სხვა შემთხვევაში ხალხი დაზარალდება. ვფიქრობ, რომ პროცესი, როცა ადგილებზე გონივრულ გადაწყვეტილებას იღებენ და მხარს უჭერენ ახალ მმართველ ძალას, უკვე დაიწყო. ჩვენ მათ მიმართ, ვინც ახლა საკრებულოებში და მუნიციპალიტეტში მუშაობენ, ძალადობრივ მოქმედებას არ ვაპირებთ, არავის არ ვაიძულებთ, ჩვენი მხარე დაიკავოს. ისინი თავად უნდა მივიდნენ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ქართველი ხალხის სამსახურში ჩამდგარ ჭეშმარიტად ეროვნული ძალების მხარეზე დადგნენ. ამის მაგალითები უკვე არის. კერძოდ, თბილისის საკრებულოში, ჩოხატაურში, სადაც დეპუტატები გაემიჯნენ ნაცმოძრაობას და საკრებულოებში ცალკე ფრაქციები შექმნეს. ეს იმის ნიშანია, რომ ჯანსაღი ძალები სწორ არჩევანს აკეთებენ. ჩვენ კარგად გვესმის, რომ არჩევით ორგანოებში ადამიანები გარკვეული დროით არიან არჩეულები და ეს ვადები ჩვენ არ უნდა დავარღვიოთ. მჯერა, ისინი თავად გააკეთებენ გონივრულ არჩევანს და ქვეყნის სამსახურში იქნებიან და არა პოლიტიკური პარტიისა.

**ამირან კილურაძე,**
**„საქართველოს რესპუბლიკის" აჭარა-გურიის საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი**

***P. S.* აჭარის ახალ ხელისუფლებას იმ ადამიანების პრეტენზიების დაკმაყოფილებაც მოუწევს, რომლებიც პოლიტიკური ნიშნით გაუშვეს სამსახურებიდან ეგრეთ წოდებული აჭარის 2004 წლის რევოლუციის შემდგომ და დღემდე სამუშაო ვერ უშოვიათ. ყველა მათგანი ძველ თანამდებობაზე აღდგენასა და ფულად კომპენსაციას ითხოვს. ასლანისტობის იარლიყით ისეთი ადამიანები გაყარეს სამსახურებიდან, რომლებიც „აღორძინების" წევრებიც არასდროს ყოფილან, მაგრამ ნაცხელისუფლებას თავისი მახლობლებისთვის სამუშაო ადგილები და თანამდებობები სჭირდებოდა და არას დაგიდევდა. მარტო ბათუმელმა მაღალჩინოსნებმა კი არ ისარგებლეს „რევოლუციის შედეგებით", თბილისში მოკალათებული დიდი, თუ პატარა ნაცხელისუფალი ცდილობდა, თავისი პროტეჟეებისთვის ბათუმში მაღალანაზღაურებადი თანამდებობა ეშოვა. ასე გაავსეს ავტონომიურ რესპუბლიკაში დესანტად გადასხმული „სპეციალისტებით" სამართალდამცავი ორგანოები, პროკურატურა, საბაჟო, ნავსადგური და სხვა. თქვენ წარმოიდგინეთ, ადგილობრივ კადრებს ისე არ ენდობოდნენ და სცემდნენ პატივს, რომ „ელექტრო პრო ჯორჯიას" აჭარის სამმართველოში, განათლებისა და კულტურის სამინისტროში, თვით აჭარის მთავრობაში, ბათუმის მერიასა და სხვაგან პრესსამსახურების უფროსად თბილისიდან ჩამოყვანილი კადრები განამწესეს. სავალალო ის იყო, რომ ბევრი მათგანი ბათუმის ორ ქუჩასაც ვერ დაგისახელებდათ სად იყო. ეს მაშინ, როცა აჭარაში ბევრი პროფესიონალი ჟურნალისტი უმუშევარი იყო და დღემდე ასეა.**

***ახალმა ხელისუფლებამ აჭარაშიც ჩამოაღწია. მოლოდინი დიდია. გამოწვევებიც არანაკლები. ვნახოთ, უკანანი წინათა შეცდომებზე რას ისწავლიან, და რას — არა!***

***ა. კ.***

დევნილები



# „შენობებში შეჭრის უკან საბოტაჟით დაინტერესებული ძალები დგანან"

**საზოგადოებრივი მოძრაობა „სოლიდარობას" წარმომადგენელი დავით ცირამუა, for.ge-სთან საუბრისას გამოთქვამს საფუძვლიან ეჭვს იმის თაობაზე, რომ სხვადასხვა შენობებში დევნილებისა და სოციალურად დაუცველი ადამიანების შეჭრა იმ ძალის მიერაა ორგანიზებული, ვისთვისაც არეულობა და ქაოსი ხელსაყრელია.**

**დავით ცირამუა ამბობს, რომ შეჭრის ფაქტები გამართლებული დაახლოებით ერთი წლის შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს, თუ ახალი ხელისუფლება დევნილებისადმი და სოციალურად დაუცველებისადმი გულგრილობას გამოიჩენს.**

**დავით ცირამუა:** დევნილები და სოციალურად დაუცველები ღია კარს ამტვრევენ, ასე არ შეიძლება, ხელისუფლება ერთი დღის შეცვლილია.

**— ხელისუფლება ერთი წლის შეცვლილი, რომ იყოს, შენობებში შეჭრის ფაქტი თქვენთვის მისაღები იქნებოდა?**

— დიახ, შენობებში შეჭრაც მისაღები იქნებოდა და შიმშილობის დაწყებაც, მაგრამ ამას მაშინ რომ აკეთებ, როცა ხალხი კაბინეტებში შესულიც კი არ არის და მინისტრები თანამშრომლებს არ იცნობენ, ამას რაღაც სხვა საფუძველი აქვს.

**— რას გულისხმობთ?**

— ვვარაუდობ, რომ ვიღაც გვერდიდან შეიძლება მოქმედებდეს, რომელიც მათ აქეზებს. აბა სხვანაირად როგორ გავიგოთ?! აქამდე სახელმწიფოს, როგორც დევნილების, ისე სოციალურად დაუცველებთან მიმართებაში არასწორი მიდგომა ჰქონდა. ამან მათი უფლებების დეფორმაცია მოახდინა, რაც დღეს ზემოთ ზამბარასავით ამოვიდა – ამ ადამიანებმა თავიანთი უფლებებისთვის უნდა იბრძოლონ, ადამიანი თავის თავისკენ უნდა შემობრუნდეს, ესაა მთავარი მომენტი. ეს თქვა ბიძინა ივანიშვილმა, მაგრამ ვერავინ გაიგო, მათ შორის, ვერც ჟურნალისტებმა, ვერც პოლიტოლოგებმა და ვერც პოლიტიკოსებმა.

იმ კაცმა თქვა მთავარი – ხელისუფლებაში უმთავრესი მიზნით მოვდივარ, რათა ხელი შევუწყო სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკული მასის ჩამოყალიბებას, რაც არის სამართლებრივი ქვეყნის და შეუქცევადობის ბაზა. ეს ურთულესი პროცესია, ამას ოცი წელი დასჭირდება, მაგრამ წელიწადნახევარში, ორ წელიწადში შევეცდები მოვახერხო ის, რომ ის მასა შევქმნა და ბაზად დავდოო.

**— თქვენი ინფორმაციით, ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა შენობებში შევიდნენ, ნამდვილად დევნილები არიან, თუ არა?**

— ამის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მაქვს, მე არ ვარ იმ ორგანოს წარმომადგენელი, რომელმაც ეს საკითხი უნდა გამოიძიოს. ტელეგადაცემებიდან შევიტყვე, რომ ეს ადამიანები დევნილები არიან. თუ ისინი ნამდვილად დევნილები არიან, მე მათ მივმართავ – თავი დავანებოთ ღია კარის მტვრევას!

**— თქვენი აზრით, როგორ უნდა მოიქცნენ - სატელევიზიო ინტერვიუებში აცხადებენ, რომ თავშესაფარი არ აქვთ?!**

— სახელმწიფო და ხელისუფლება მოწოდებულია, რომ ამ ადამიანთა საყოფაცხოვრებო პრობლემები უნდა მოაგვარდეს. სხვა გზა არ არსებობს - ადამიანს სჭირდება ჭერი, სახლი და ვალდებული ხარ, დააკმაყოფილო. აქამდე საამისო თანხა და ფინანსები მობილიზებული იყო, როგორც ქვეყნის გარეთ, ისე ქვეყნის შიგნით, მაგრამ არარაციონალიზმმა, ამ საკითხისადმი არასწორმა მიდგომამ დატოვა ის დეფორმაციები, რაც დღეს გვაქვს.

უსახლკაროდ, ულუკმაპუროდ დარჩენილი ადამიანები აბსოლუტურად მართლები არიან, მაგრამ უდროოდ აკეთებენ ამას. ვფიქრობ რომ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე დევნილი დღეს შენობაში ერთადერთი მიზეზის გამო არ შეიჭრება – მან იცის რომ ხელისუფლება ახალი მოსულია, შინაგან საქმეებში ჯერ გარკვეული არ არის, ამას დრო სჭირდება და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ხელისუფლების მხრიდან გულგრილობას თუ დაინახავს, მაშინ შევარდეს, დაიწყოს აქციები.

**— თქვენ დევნილი ხართ?**

— დიახ, სოხუმელი ვარ. ჩვენი ქვეყანა შემობრუნდა, მაგრამ "ნაციონალური მოძრაობა" თეთრზე შავის თქმას და ჩვენთვის თვალში ნაცრის შეყრას აგრძელებს – ამბობენ კურსი არ შეცვლილაო. რეალურად კურსიც შეცვლილია და ფუნდამენტიც, ქვეყანა 180 გრადუსით შემობრუნდა. ეს ყველამ უნდა გავაცნობიეროთ.

**— თქვენი აზრით, ვინ შეიძლება იდგეს შენობებში შეჭრის უკან, თუ ეს პროცესი სპონტანური არ არის?**

— პირდაპირ ვერავისკენ მივუთითებ, მაგრამ საფუძვლიანი ეჭვი მაქვს - შენობებში შეჭრის უკან რაღაც ძალები მოქმედებენ. დევნილებმა შიმშილობა ხომ გამოაცხადეს?! ისინი ორ დღეზე მეტხანს ვერ იშიმშილებენ, რადგან ფსიქოლოგიურად მზად არ არიან.

„ნაციონალურმა მოძრაობამ" მარილს შაქარი დააწერა, ევროპული ინტეგრაციისა და ნატოსკენ სავალი გზის დისკრედიტაცია მოახდინა და ივანიშვილი ნამდვილად დაადგა დასავლეთთან ინტეგრაციისა და ნატოსკენ მიმავალ გზას.

ახლა ეს გზა დიამეტრალურად შეცვლილია, მაგრამ ვიმეორებ, მინისტრები ჯერ კაბინეტებშიც არ არიან შესულები, თანამშრომლებს არ იცნობენ და ამგვარ ვითარებაში ხდება შენობებში შეჭრა. თუ მაგარი იყავი, მაშინ გაგებედა ეს, როდესაც ყოფილი ხელისუფლება რეპრესიებს ახორციელებდა. ამიტომ მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს პროცესი მართულია და არა სპონტანური.

**ნინო მიქიაშვილი**

## სიმართლე კი ასეთია

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მთავარ პროკურორს ვაზაგაშვილის, ხუბულოვისა და ფუთურიძის საქმის ხელახალი გამოძიების ჩატარების მოთხოვნით მიმართავს. შეგახსენებთ, რომ 2006 წლის 2 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ თბილისში, კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად BMW მარკის ავტომობილში ჩაცხრილეს ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი. შსს-ს ოფიციალური ინფორმაციით, მითითებული პირები საყაჩაღოდ მიდიოდნენ და სპეცოპერაციაში მონაწილე შსს-ს თანამშრომლებმა ცეცხლი გახსნეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათი ავტომანქანიდან პოლიციის მიმართულებით ისროლეს.**

საქმეზე თავიდანვე გაჩნდა ბევრი კითხვა, რაც შსს-ს ოფიციალურ ინფორმაციასთან დაკავშირებით ეჭვებს ბადებდა. საიას ადვოკატები გარდაცვლილ ზურაბ ვაზაგაშვილის უფლებამონაცვლის ინტერესებს იცავდნენ. მართალია, გამოძიება დაიწყო, თუმცა, იურისტების შეფასებით, არაობიექტურად და მიკერძოებულად იგი წარიმართა, რის შედეგადაც საქმის წარმოება შეწყდა პოლიციელთა ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის მოტივით.

ამჟამად დაცვის მხარე აცხადებს, რომ მნიშვნელოვანი მტკიცებულებები მოიპოვა.

**„როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, დაცხრილულ ავტომობილში მსხდომ პირთაგან გადარჩა მხოლოდ ბონდო (ბუბა) ფუთურიძე, რომელთანაც მოგვიანებით გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. დღემდე ცნობილი იყო, რომ ფუთურიძემ აღიარა წარდგენილი ბრალდება. სასამართლოში მის მიერ მიცემული ჩვენებით დასტურდებოდა, რომ მათ სპეცრაზმის წარმომადგენლებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს, რის შემდეგაც პოლიციელებმა ცეცხლი გახსნეს. 2012 წლის 26 ოქტომბერს ბონდო ფუთურიძემ საიას ადვოკატს გაგი მოსიაშვილს ახსნა-განმარტება მისცა, რითაც უარყო სასამართლოში მიცემული ჩვენება და განმარტა, რომ სასამართლოსთვის მიცემული ჩვენება ზეწოლის შედეგი იყო. ფუთურიძემ ახსნა-განმარტებაში მიუთითა, რომ ის და მისი მეგობრები არც საყაჩაღოდ მიდიოდნენ და არც იარაღი ჰქონიათ“,** — ნათქვამია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადებაში.

კიდევ რა მნიშვნელოვანი მტკიცებულებების გაყალბებაზეა საუბარი და რა გახდება საქმეზე ხელახალი გამოძიების ჩატარების საფუძველი? — ამასთან დაკავშირებით **for.ge**-ს საია-ს იურისტი **გაგი მოსიაშვილი** ესაუბრება.

**— დაცვის მხარემ** — ამბობს იგი, **— გამოკითხა ამ სპეცოპერაციის შედეგად გადარჩენილი, ბუბა, იგივე ბონდო ფუთურიძე, შედგა გამოკითხვის ოქმი, სადაც ნათქვამია, რომ ფუთურიძემ სასამართლოზე მის მიერ მიცემული ჩვენება უარყო. ამ ჩვენების მიცემა კი იმით ახსნა, რომ მასზე იყო როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ფიზიკური ზეწოლა. მას უთხრეს, რომ თუ საპროცესოზე არ დათანხმდებოდა, ათობით წლების ციხეში გატარება მოუწევდა. სწორედ ამიტომ მისცა მან სასამართლოს აღიარებითი ჩვენება.**

დღეს ფუთურიძე აცხადებს, რომ არც ის და არც მანქანაში მასთან ერთად მსხდომი მისი მეგობრები შეიარაღებულები არ ყოფილან და, შესაბამისად, მათ პოლიციელების მიმართულებით ცეცხლიც არ გაუხსნიათ. ფუთურიძის ჩვენების თანახმად, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მათი მანქანა ბოძს შეეჯახა, ზურა ვაზაგაშვილი ცოცხალი იყო, ამის შემდეგ გაჩერებულ მანქანას შეუტიეს პოლიციელებმა, რის შედეგადაც დაიღუპნენ ხუბულოვი და ვაზაგაშვილი. თავად ფუთურიძეს 15 ცეცხლსასროლი ჭრილობა ჰქონდა მიღებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის რაღაცნაირად გადარჩა. დღეს ფუთურიძე მზად არის, გამოძიებას მისცეს ჩვენება და სიმართლის დადგენაში დაეხმაროს.

**— რამდენადაც ცნობილია, საქმეში სხვა მტკიცებულებებიც იყო გაყალბებული.**

— დიახ, ჩვენ გამოვკითხეთ ერთ-ერთი პოლიციელი, რომელიც ასევე მზად არის, ობიექტური გამოძიების მწარმოებელ ორგანოსთან ითანამშრომლოს. ეს ადამიანი აცხადებს, რომ პოლიციის თანამშრომლის კუთვნილი ავტომანქანა, რომლის მიმართაც ოფიციალური ინფორმაციით, ვაზაგაშვილის მანქანიდან ცეცხლი გახსნეს და დააზიანეს, სინამდვილეში, მოგვიანებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ეზოში თავად პოლიციელებმა დააზიანეს. ჩვენს მიერ გამოკითხული ადამიანი არის თვითმხილველი იმისა, თუ როგორ ხდებოდა ექსპერტების დახმარებით, ასე

### „შსს-ს ეზოში დააზიანეს პოლიციელის მანქანა, რომელსაც თითქოს ვაზაგაშვილის მანქანიდან ესროლეს“




ვთქვათ, იმ ტრაექტორიაზე დასმა, როგორც შეიძლებოდა ამ მანქანისთვის ვაზაგაშვილის მანქანიდან გასროლით მიეყენებინათ დაზიანება. ამ ადამიანის განცხადებით, ამას ლაზერის მეშვეობით აკეთებდნენ.

ეს არის ინფორმაცია, რომელიც დღეს არსებობს, თუმცა ეს ინფორმაცია რომც არ არსებულიყო, თავიდანვე ცხადი იყო, რომ გამოძიება გაყალბებული მტკიცებულებების გამოყენებით ცდილობდა საქმის შეწყვეტას და შეწყვიტა კიდეც. კერძოდ, როდესაც მანქანა, რომელსაც ვაზაგაშვილი მართავდა ბოძს შეეჯახა, მისი უკანა საქარე მინა მთელი იყო. ეს კარგად ჩანს ქართულ მედიასაშუალებებით გავრცელებულ კადრებში, რომლებიც შემთხვევის ადგილიდან გადაიცა. მოგვიანებით, გამოძიების ეტაპზე აღმოჩნდა, რომ ამ მანქანის უკანა საქარე მინა დაზიანებული იყო და გამოძიების ვერსიით, სწორედ ამ დაზიანებული მინიდან გახსნეს ცეცხლი ბიჭებმა პოლიციის მიმართულებით. ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ ამ შემთხვევაში მოხდა მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია, რადგან შემთხვევის ადგილიდან მედია-საშუალებების მიერ გავრცელებულ კადრებში კარგად ჩანს, რომ ვაზაგაშვილის მანქანის უკანა საქარე მინა მთელია, შემდეგ კი გამოძიებაში უცებ ჩნდება დაზიანებული უკანა საქარე მინა და თითქოს სწორედ იქიდან განხორციელდა გასროლა. რა თქმა უნდა, ჩვენს ამ პოზიციას გამოძიების მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

ამჟამად ახლად მოპოვებულ მტკიცებულებებთან ერთად ჩვენ წარმოვადგინეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გახდა თავის დროზე საქმის შეწყვეტის საფუძველი. ოფიციალურად გამოძიების შეწყვეტის საფუძველი გახდა ორი გარემოება. პირველი იყო ის, რომ თითქოს, სპეცრაზმის თანამშრომლებმა მას შემდეგ შეწყვიტეს სროლა, რაც ვაზაგაშვილის მართვის ქვეშ მყოფი მანქანა ბოძს შეეჯახა, ხოლო მეორე იყო ის, რომ თითქოს პოლიციის თანამშრომლებმა სროლა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყეს, რაც ვაზაგაშვილის მანქანიდან პოლიციელების მისამართით დაიწყო სროლა. თუმცა, ორივე ეს ვერსია თავიდანვე დაუსაბუთებელი იყო, რადგან როგორც აღვნიშნე, ისინი ვაზაგაშვილის მანქანის უკანა საქარე მინის მთლიანობამ გაყიდა.

ყველაფერ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი მთავარი მესიჯი მთავარი პროკურორისა და იუსტიციის მინისტრის მიმართ გახლავთ ის, რომ მოხდეს ამ საქმის ობიექტური გამოძიება. იმ ფონზე, როდესაც საქმეს იძიებს იგივე უწყება, რომელმაც კორტებთან სპეცოპერაცია ჩაატარა, რა თქმა უნდა, სუბიექტურობის ხარისხი ძალიან მაღალია. დამოუკიდებელი და მიუკერძოებული გამოძიების ჩატარების პოლიტიკური ნება არ არსებობდა. სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეზე ჩატარებულმა ალტერნატიულმა ექსპერტიზამ ცალსახად დაასკვნა, რომ ვაზაგაშვილის მანქანიდან გასროლა არ მომხდარა. მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველმა ამგვარი დასკვნა დადო (მაშინ ბატონი სოზარ სუბარი იყო სახალხო დამცველი) ამასთან დაკავშირებით მთავარ პროკურატურასაც მივმართეთ, ხელახალი გამოძიების მოთხოვნით პროკურატურას დეპუტატმა გია ცაგარეიშვილმაც მიმართა, მაგრამ ყველა ეს განცხადება უგულებელყოფილი იყო. ყველაფერი ეს გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ ამ საქმის გაუხსნელობა პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო.

მე იმედს ვიტოვებ, რომ სამართლიანი და ობიექტური გარემო, რაც საზოგადოების მხრიდან ახალი ხელისუფლების მიმართ არსებული მოთხოვნაა, სიმართლის დადგენის აუცილებელ წინაპირობას შექმნის. ბოლოს და ბოლოს, საზოგადოებამ უნდა მიიღოს პასუხი კითხვაზე, რა მოხდა 2006 წლის 2 მაისს კორტებთან და რატომ მოხდა ამ ახალგაზრდების მანქანაში ჩაცხრილვა.

**— თქვენ ახსენეთ პოლიციელი, რომელიც დაცვის მხარემ გამოკითხა და რომელიც მტკიცებულებების გაყალბებაზე საუბრობს. ეს ადამიანი თავად მონაწილეობდა კორტებთან ჩატარებულ სპეცოპერაციაში, თუ იგი უშუალოდ იმის თვითმხილველია, რომ შსს-ს ეზოში პოლიციელის კუთვნილი მანქანის მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა თავად პოლიციელებმა მოახდინეს?**

— არა, ეს ადამიანი კორტების სპეცოპერაციაში არ მონაწილეობდა. იგი იყო იმის თვითმხილველი, რაც სამინისტროს ეზოში ხდებოდა. ოფიციალური ინფორმაციით, პოლიციის თანამშრომლის კუთვნილ BMW-ს მარკის ავტომანქანას წინა საქარე მინაზე ჰქონდა დაზიანება, რომელიც თითქოსდა ვაზაგაშვილის მანქანიდან გასროლის შედეგად მოხდა და რის საპასუხოდაც პოლიციელებმა გახსნეს ცეცხლი.

— ხაზს ვუსვამ, ეს ადამიანი მზად არის გამოძიებას მომხდართან დაკავშირებით მისცეს ჩვენება.

**— თქვენ მთავარ პროკურატურას ხელახალი გამოძიების ჩატარების მოთხოვნით მიმართავთ?**

— დიახ, ჩვენ უკვე მივმართეთ მთავარ პროკურორს და იუსტიციის მინისტრს და ჩვენი მოთხოვნა არის აღნიშნული საქმის ობიექტური გამოძიება.

**რუსიკო უშიკიშვილი**

## ძარცვა „ნაციონალურად“

# ადეიშვილმა და კეზერაშვილმა ბიზნესმენ კვარაცხელიას 10 მლნ დოლარის უძრავი ქონება წაართვეს

**არასამთავრობო ორგანიზაციის „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე და ბიზნესმენი თემურ კვარაცხელია ყოფილი მმართველი გუნდის წევრებს დავით კეზერაშვილსა და ზურაბ ადეიშვილს ბიზნესმენისთვის ქონების იძულებით წართმევაში ადანაშაულებენ.**

როგორც **from.ge**-ს ნიკოლოზ მჟავანაძემ განუცხადა, **თემურ კვარაცხელია რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენია, რომელმაც საქართველოს ეკონომიკაში, სხვადასხვა პროექტებში 7 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩადო და პრეზიდენტ სააკაშვილის მოწოდებას, ბიზნესმენები საქართველოში დაბრუნდითო, ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა.**

მჟავანაძის ცნობით, **როცა კვარაცხელია საქართველოში ჩამოვიდა, შპს „კვარცი 2010“ დააფუძნა და ორთაჭალჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე, მტკვრის პირას დიდი ბიზნესცენტრი რესტორნებითა და საკონფერენციო დარბაზებით ააშენა.**

**„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარის ინფორმაციით, მშენებლობისას მას შენობის დასასრულებლად სესხის აღება დასჭირდა, რის შემდეგაც მასთან თავად მივიდა ებრაელი ბიზნესმენი სამსონ ჰოკი და ხელშეკრულების გაფორმება შესთავაზა.**

**„ვინაიდან მაშინ ბანკები 1 მლნ 300 ათასიან ხელშეკრულებას ძნელად იძლეოდნენ, თუ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირი არ იყავი, საკრედიტო ხელშეკრულება შესთავაზა და სესხის სახით 1 მლნ 300 ათასი დოლარი გამოუყო, 5 %-იანი განაკვეთით. სესხს კი კვარაცხელია სამ ტრანშად მიიღებდა“,** — განუცხადა **from.ge**-ს ნიკოლოზ მჟავანაძემ.

მისივე თქმით, პირველი ტრანშის განხორციელების შემდეგ ბიზნესმენთან ადეიშვილის და კეზერაშვილის წარმომადგენლები მათივე სახელით მივიდნენ და უთხრეს, რომ მას ბიზნესის გაკეთების უფლება არ ჰქონდა, თუკი ხელისუფლებასთან არ მოილაპარაკებდა წილებში ჩასმასთან დაკავშირებით.

**„მას პირდაპირ დაემუქრნენ და უთხრეს, რომ მას თავისი ქონება სამსონ ჰოკზე უნდა გადაეფორმებინა. შემდგომში სამსონ ჰოკმაც თქვა, რომ მის უკან ადეიშვილი და კეზერაშვილი იდგნენ და თუ კვარაცხელიას უნდოდა მეორე ტრანშის თანხა მიეღო, სასესხო პირობებში იპოთეკით ჩადებული ქონების ნაწილის გადაფორმება მოითხოვა“,** — განაცხადა მჟავანაძემ და კვარაცხელია იძულებული გახდა მოქმედი რესტორანი სამსონ ჰოკისთვის მხოლოდ მიწის ფასად მიეყიდა.

**მისივე თქმით, მესამე ტრანშის დროსაც იგივე განმეორდა და საბოლოო ჯამში სამსონ ჰოკმა თემურ კვარაცხელიას წაართვა 1400 კვ. მ. მიწის ფართობი შენობა ნაგებობებით, 10 მლნ დოლარის ღირებულების ქონება და ნოტარიუსთან იძულების წესით გადააფორმებინა. შემდეგ კი განცხადება დააწერინა, რომ ბიზნესმენი აღნიშნულ ქონებაზე პრეტენზიას არ გამოთქვამდა.**

**„შემდეგ უკვე კომპლექსის ჩაგდება მოინდომეს. ამ პროცესს კი თან სდევდა მერიის მხრიდან უზარმაზარი ჯარიმები, რათა იგი გაკოტრებულიყო, ფინანსური მდგომარეობა დამძიმებოდა და კომპლექსი გაეყიდა. 5 ჯარიმა შეეფარდა მას და კომპლექსსაც წაართმევდნენ, ისევ ეს ხელისუფლება რომ დარჩენილიყო“ — აღნიშნა მჟავანაძემ და დასძინა, რომ სამსონ ჰოკის ქმედებებში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები — თაღლითობა და სხვისი ქონების მითვისება იკვეთება.**

**მჟავანაძის განცხადებით, თემურ კვარაცხელიასთან ერთად უახლოეს დღეებში პროკურატურაში განცხადებას შეიტანს და აღნიშნული დანაშაულის გამოძიებას მოითხოვს.**

მისივე თქმით, სამსონ ჰოკს „უამრავი ადამიანი ჰყავს გამწარებული“, ხელისუფლების უმაღლესი რანგის ჩინოვნიკებს ამოფარებული, ბიზნესმენებს ქონებას ართმევდა.

**„თემურ კვარაცხელია სხვა ბიზნესებსაც ფლობს, მაგრამ ეს არის მისი ძირითადი ბიზნესი საქართველოში, რადგან 7 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩადო ამ პროექტებში და აქ დააბანდა თავისი შემოსავალი, ახლა კი ვიბრძვით რომ მისი ქონება დავიბრუნოთ, რადგან უკვე კომპლექსის წართმევის პროცესიც მიმდინარეობს და საქმე აღსრულების ბიუროშია შესული“** — აღნიშნა მჟავანაძემ და იმედი გამოთქვა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ეს საქმე ობიექტურად იქნება გამოძიებული.

**From.ge**

№211. პარასკევი, 2 ნოემბერი, 2012 წელი.

# სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ეკონომიკური ასპექტები

**ოც წელზე მეტია, საქართველოში მიმდინარეობს რთული, წინააღმდეგობებით სავსე პროცესები. „საბაზრო სოციალიზმზე" უარის თქმა და ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობა უნდა გამხდარიყო ქვეყანაში ცხოვრების ხარისხის ამაღლებისა და დემოკრატიული, სამართლიანობის პრინციპებზე აგებული ეკონომიკური სისტემის დამკვიდრების საფუძველი.** მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. იმ გზას არ დავადექით, რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყვანდა. რეფორმატორთა დილეტანტიზმი, ფრაგმენტულად, უსისტემოდ განხორციელებული რეფორმები მოუფიქრებელი გადაწყვეტილებების, გაუმართლებელი დასკვნებისა და, აქედან გამომდინარე, ფრიად ნეგატიური ტენდენციების მიზეზი გახდა, რამაც ქვეყანა სერიოზულ შეცდომებამდე მიიყვანა, რეალური საფრთხე შეუქმნა მის განვითარებასა და შეაფერხა დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბება.

დღეს საქართველოში არსებული არაორდინარული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია მრავალ რთულ პრობლემას წარმოშობს. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა **სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაა,** რომელიც, ჯერ კიდევ, ფორმირების პროცესშია, არადა, მის გარეშე თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის დაჩქარებული ტემპის პირობებში შეუძლებელია საქართველოს ნორმალური განვითარება და გარე სამყაროსთან ცივილიზებული ურთიერთობა.

რა უშლის ხელს საქართველოში ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას? პირველ ყოვლისა, არასწორად გატარებული რეფორმები, ის ინსტიტუციური ცვლილებები, რომლებმაც გაცილებით მეტი პრობლემა წარმოქმნა, ვიდრე გადაჭრა.

დავიწყოთ იმით, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში „შოკური" გზით განხორციელებული ინსტიტუციური ცვლილებები თავიდანვე ეჭვს ბადებდა საზოგადოებაში, განსაკუთრებით მეცნიერ-ეკონომისტებში. ჩვენ არაერთხელ გამოვთქვით მოსაზრება იმის შესახებ, რომ ასე მოუმზადებლად გატარებული ფასების ლიბერალიზაცია და პრივატიზაცია კარგს არაფერს მოუტანდა ქვეყანას. მოხდა ეკონომიკის შეგნებულად ნგრევა. სახელმწიფოს დამანგრეველი ხელი მიწვდა ეკონომიკის ყველა სფეროს. ხატოვნად რომ ვთქვათ, სახელმწიფომ მოირგო პრივატიზაციის „რბილი ხელთათმანი", პრივატიზაციისას არ გაკეთდა აქცენტი კორპორაციულ მართვაზე. კერძო სექტორს სახელმწიფოს აქტივები გადაეცა ყოველგვარი მარეგულირებელი პროცესების გარეშე. სამწუხაროდ, ეს პოლიტიკა დღესაც გრძელდება. სახელმწიფო საკუთრების მნიშვნელოვანი ნაწილი კერძო საკუთრებაშია, მაგრამ ვერ ჩამოყალიბდა საკუთრების პლურალიზმი, ამასთან, ამ პროცესს ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით წარმატება არ მოჰყოლია. ნაჩქარევმა, მოუფიქრებელმა, არაკანონიერმა პრივატიზაციამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. იგი იქცა ნაკლებად გამჭვირვალე პროცესად და შემოვლითი გზით კორუფციის წყაროდ.

ჩვენ არაერთხელ გამოვთქვით მოსაზრება იმის შესახებ, რომ ასე მოუმზადებლად გატარებული ფასების ლიბერალიზაცია და პრივატიზაცია კარგს არაფერს მოუტანდა ქვეყანას. მოხდა ეკონომიკის შეგნებულად ნგრევა. სახელმწიფოს დამანგრეველი ხელი მიწვდა ეკონომიკის ყველა სფეროს. ხატოვნად რომ ვთქვათ, სახელმწიფომ მოირგო პრივატიზაციის „რბილი ხელთათმანი", პრივატიზაციისას არ გაკეთდა აქცენტი კორპორაციულ მართვაზე.

ცნობილია, რომ ეროვნული სახელმწიფოს აღორძინება შეუძლებელია ეკონომიკის აღორძინების გარეშე. ვერც ერთი სახელმწიფო ვერავითარ პრობლემას ვერ გადაწყვეტს, თუ იგი ეკონომიკურად სუსტია. **ეკონომიკა ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედია.** თუ ცხოვრების ეკონომიკური მხარე არ იწვევს დაძაბულობას საზოგადოებაში, მაშინ განვითარებისა და უკონფლიქტო თანაარსებობისათვის გასაქანი ეძლევა მის ყველა მხარეს – ზნეობრივს, კულტურულს, ეროვნულ-ეთიკურს, საგანმანათლებლოს, სამეცნიერო-ინოვაციურსა და ა.შ. მაგრამ, ყოველი ჩავარდნა ეკონომიკაში საზოგადოების ბედსა და მის განვითარებაზე მწვავედ აისახება. თუნდაც ეკონომიკური განვითარების ერთი რგოლი ამოვარდეს, ვექტორი მაშინვე იცვლის მიმართულებას და წარმოიქმნება მკვეთრი სოციალური დიფერენციაცია, კორუფცია (მათ შორის, ელიტარულიც), ზნეობრივი დეგრადაცია და ა.შ. მართალია, მოცემული საკითხი განიხილება, როგორც ზოგადსაკაცობრიო ტენდენცია, მაგრამ ყველა მისი ასპექტი აისახება იმ ეროვნული პრობლემების პრიზმაში, რომლებიც არსებობს დღეს ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც. ამიტომ როგორი სახელმწიფო იქნება საქართველო მომავალში ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ეკონომიკა ჩამოყალიბდება დღეს. ეს უკანასკნელი კი ორგანულად არის დაკავშირებული, ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, საბაზრო ეკონომიკის უნივერსალურ მექანიზმებზე დაფუძნებულ **ეკონომიკურ პოლიტიკაზე,** ანუ ხელისუფლების მიერ ეკონომიკური მართვის ბერკეტებისა და მეთოდების გამოყენებით გატარებულ ღონისძიებათა სისტემაზე საბიუჯეტო-საგადასახადო, ფულად-საკრედიტო, საინვესტიციო, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ, საგარეო-ეკონომიკურ და ა.შ. სფეროებში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას არ გამოუყენებია განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ აპრობირებული ეკონომიკის მაკროეკონომიკური რეგულირების ბერკეტები. ზედმეტია ლაპარაკი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვის კლასიკურ ფორმებზე, რომელსაც, ეკონომიკური მეცნიერების წარმოშობიდან მოყოლებული, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე საფუძვლად ედო ესა თუ ის **ეკონომიკური თეორია**. ამ უკანასკნელს უდიდესი წვლილი მიუძღვის ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფასა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების განვითარებაში. ეკონომიკური მიმდინარეობები და შესაბამისი მოდელები, შეიძლება ითქვას, მსოფლიო ეკონომიკაში განსაზღვრავენ „თამაშის წესებს".

ახალი დრო ყოველთვის წარმოქმნის თავის პრიორიტეტებს. თანამედროვეობის ერთ-ერთი ასეთი პრიორიტეტი სწორედ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაა. მას საფუძველი XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩაეყარა, როდესაც **ახალი მსოფლიო წესრიგის** დამყარების აუცილებლობა წარმოიქმნა. ეს პროცესი თავისებურად აისახა მსოფლიო სამიტის მიერ დამტკიცებული ეკონომიკური განვითარების ახალ პროგრამაში – „დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის", რომელშიც წინა პლანზე **„ახალი სოციალური საკითხი"** წამოიწია. ეს უკანასკნელი, პირველ ყოვლისა, ითვალისწინებს **ახალი პოლიტიკური კულტურის** წარმოშობის საფუძველზე დემოკრატიის განვითარებასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ცივილიზებულ სამყაროში საკმაოდ აპრობირებული თეზა – „კეთილდღეობა კონკურენციის გზით" – უცხოა ჩვენი ქვეყნისთვის. იგი ჩანასახოვან მდგომარეობაშიც კი არ არსებობს, რასაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და, აქედან გამომდინარე, ანტიმონოპოლიური რეგულირების არარსებობა.

დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოება ურთიერთდაკავშირებული ფენომენებია. ისინი ერთმანეთს ავსებენ, რაც **ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკითაა განმტკიცებული.** ეს უკანასკნელი ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და მოიცავს ფისკალურ, ფულად-საკრედიტო, სავალუტო, სტრუქტურულ, ინსტიტუციურ, საინვესტიციო, საგარეო-ეკონომიკურ, სოციალურ, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ და ა.შ. პოლიტიკას. იგი უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ და ინსტიტუციურ მდგომარეობაზე, საზოგადოებაში ადამიანთა ინტეგრირების ხარისხზე, საზოგადოების ფენებად დაყოფის წილობრივ თანაფარდობაზე და ა.შ. ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ჩარჩო-პირობებია: 1. საბაზრო, ანუ კონკურენციის წესრიგი; 2. სოციალური წესრიგი; 3. ინსტიტუციური წესრიგი. წესრიგის დაცვა კონკურენციაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც სოციალური, ისე ინსტიტუციური წესრიგის დონესა და ხარისხზე.

საგულისხმოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: ეკონომიკური წესრიგის გატარებაში უდიდეს როლს ეროვნული იდეოლოგია ასრულებს, მაგრამ თუ იგი მოწყდა ეროვნულ ფესვებსა და სარწმუნოებას, რელიგიას, მაშინ ზედმეტია მსჯელობა კონკურენციის წესრიგზე, ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასა და ინსტიტუციურ მოწყობაზე, ხოლო **ქვეყანა, რომელიც არ ატარებს ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკას, ვერასდროს განვითარდება და განწირულია ქრონიკული ჩამორჩენილობისთვის.**

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის გატარება ორგანულად უკავშირდება სასამართლო სისტემის გამჭირვალობას. **საზოგადოება, რომელიც არ არის ორიენტირებული სამართლიანობაზე, ასეთ საზოგადოებას არა აქვს მომავალი და ასეთ ქვეყანაში ვერასდროს ჩამოყალიბდება სამოქალაქო საზოგადოება.**

როგორ უნდა შევაფასოთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XXI საუკუნის მეორე ათეულის დასაწყისში? საქართველოში რეალურად არსებობს კი ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა თუ სინამდვილეში არის თვალის დახუჭვისა და მისგან გაქცევის პოლიტიკა? ქვეყანაში რა მდგომარეობაა დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების თვალსაზრისით? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: ეკონომიკის კონვერსიის რანგში აყვანილი რეფორმების გატარების მიუხედავად, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, მძიმეა. საქართველოში არ არის ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო-პირობები დაცული და, აქედან გამომდინარე, არ არსებობს ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა, რაც აფერხებს დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. XIX საუკუნის გადმონაშთი – ექსტრემისტული, ველური კაპიტალიზმი XXI საუკუნეში ანგრევს მის ეკონომიკას.

ცივილიზებულ სამყაროში საკმაოდ აპრობირებული თეზა – „კეთილდღეობა კონკურენციის გზით" – უცხოა ჩვენი ქვეყნისთვის. იგი ჩანასახოვან მდგომარეობაშიც კი არ არსებობს, რასაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და, აქედან გამომდინარე, ანტიმონოპოლიური რეგულირების არარსებობა. ამ უკანასკნელს მსოფლიო ეკონომიკაში 150-წლიანი ისტორია აქვს და აღიარებულია კონკურენციის მიღწევის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად.

დამოუკიდებელ საქართველოში ახლად ჩამოყალიბებული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა 2006 წელს გაუქმდა, შემოღებულ იქნა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ კანონი, თუმცა, მან არ „იმუშავა" და ბიზნესი ხელისუფლების ზეწოლის, პოლიტიკის წნეხის ქვეშ აღმოჩნდა. შეილახა მეწარმეთა უფლებები, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას – „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას". მაკონტროლებელი ორგანოები პოლიტიზებულია, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს შრომის კოდექსი, რომელიც დამქირავებელთა განუსაზღვრელ უფლებებსა და დაქირავებულთა ინტერესების მინიმუმამდე დაყვანას ითვალისწინებს, შეზღუდულია სიტყვის თავისუფლება და ა.შ. ოლიგოპოლიური ბაზარი განაპირობებს კონკურენციის ჰორიზონტალურ შეზღუდვას, არ არსებობს ადმინისტრაციის ჰუმანიზაცია. საბანკო სისტემა ეკონომიკას ვერ აწვდის „სისხლს", არ არის გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი. კრედიტი ხელმიუწვდომელია, სამაგიეროდ, საბანკო სექტორი ხელს უწყობს „ფინანსური პირამიდების" წარმოქმნას, ამასთან, ძირითადად მიმართულია სხვა ქვეყნების ეკონომიკის დაკრედიტებაზე. არასწორი მენეჯმენტი და მაღალი რისკები საბანკო სფეროში მაღალ სპრედს (საკრედიტო განაკვეთი 15, 20 ან 24%-იაძ განაპირობებს, რაც ეროვნული ბანკის ყურადღების მიღმაა. მომრავლდა ფინანსისტი სპეკულანტები, რომლებიც შემოსავალს ვალუტების კურსებს შორის სხვაობით იღებენ.

საქართველოს რეალური სექტორის ტრადიციული დარგების ადგილი საბანკო და საფინანსო ინსტიტუტებმა დაიკავა. არ არსებობს აგრობიზნესის განვითარების სტიმულები. საქსტატის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის წარმოების 90%-ზე მეტი საკუთარი მოხმარებისთვისაა განკუთვნილი და იგი მოსახლეობის არსებობის მნიშვნელოვანი წყაროა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი შინამეურნეობების მთლიან შემოსავლებში მხოლოდ 7%-ია. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის მიხედვით, ბოლო ადგილზეა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის. ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი 7%-ს ოდნავ აჭარბებს. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში არ არსებობს ადეკვატური აგრარული პოლიტიკა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში არ არის სისტემური მიდგომა. მიწების საპრივატიზაციო პოლიტიკა მხოლოდ უცხოელებზეა მორგებული და აბსოლუტურად გაუმჭვირვალეა. საქართველოში უცხოელები თავიანთი ქვეყნიდან ჩამოყვანილ სამუშაო ძალას ასაქმებენ, მოცდენილია მიწის ნაკვეთები შიდა გზების მოუწესრიგებლობის გამო, განუვითარებელია ინფრასტრუქტურა, დაუმუშავებელია მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი. ასეთ პირობებში რთულდება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება, რის გამოც მაღალია უმუშევრობა (ყოველი 5-დან 2 უმუშევარიაძ, დაბალია საქმიანი აქტიურობა, მაღალია ჯინის კოეფიციენტი (შემოსავლების განაწილებაში უთანასწორობის ხარისხიძ, მიმდინარეობს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაღატაკება. არადა, როგორც XVIII საუკუნის უდიდესი მოაზროვნე და ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებელი ადამ სმითი აღნიშნავდა, არც ერთი საზოგადოება არ შეიძლება იყოს აყვავებული და ბედნიერი, ვიდრე მისი დიდი ნაწილი ღარიბი და უბედურია. საქართველოში კონკურენციის წესრიგის არსებობაზე საუბარი აზრს მოკლებულია. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოდან მიგრირებულია 1 მილიონზე ბევრად მეტი ადამიანი. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს მოსახლეობა დღეს თავისებურ რეპრესიულ რეჟიმშია. ნაკლებადაა გათვალისწინებული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის მოთხოვნები.

საქართველოში არ არსებობს ადეკვატური აგრარული პოლიტიკა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში არ არის სისტემური მიდგომა. მიწების საპრივატიზაციო პოლიტიკა მხოლოდ უცხოელებზეა მორგებული და აბსოლუტურად გაუმჭვირვალეა. საქართველოში უცხოელები თავიანთი ქვეყნიდან ჩამოყვანილ სამუშაო ძალას ასაქმებენ, მოცდენილია მიწის ნაკვეთები შიდა გზების მოუწესრიგებლობის გამო, განუვითარებელია ინფრასტრუქტურა, დაუმუშავებელია მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამის ნათელი მაგალითია ამ მხრივ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა: საქართველოში რეგისტრირებულია დაახლოებით 10 ათასი არასამთავრობო და 62 საქველმოქმედო ორგანიზაცია, თუმცა, მათი მეათედიც კი არ ფუნქციონირებს. ეს ორგანიზაციები, რომლებიც უმთავრესად (95%ძ დამოკიდებულია უცხოელი დონორების დაფინანსებაზე, ოფიციალურ დოკუმენტებში „სამოქალაქო საზოგადოებად" და მესამე სექტორად მოიხსენიება, თუმცა, ძალზე სუსტია მათი კავშირი საზოგადოებასთან, რაც გარკვეულწილად ამცირებს ამ ორგანიზაციების ლეგიტიმურობის დონეს.

მიმდინარე და სტრატეგიული ინტერესების სწორად განსაზღვრა, ეროვნული კულტურის შენარჩუნება, ტრადიციების დაცვა, ადამიანისთვის თავისუფალი არჩევანის უფლების მინიჭება, განათლებისკენ სწრაფვა, ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა ის ფასეულობებია, რომლებზეც დღეს დგას დემოკრატიული ქვეყნები და მათში არსებული სამოქალაქო საზოგადოებები. ამ გზით უნდა განვითარდეს საქართველოც.



**როზეტა ასათიანი,**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## ◉ როგორ ვიცხოვრებთ?

**31 ოქტომბრის მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა სამოქმედო გეგმა, რომელიც სხვადასხვა შენობაში შეჭრილი სოციალურად დაუცველი და დევნილი ოჯახების აღრიცხვასა და მათი საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებას გულისხმობს. როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, უახლოეს დღეებში გამოიყოფა ბიუჯეტი, რომლის მეშვეობითაც უკიდურესად გაჭირვებული ოჯახები ბინის დაქირავებას შეძლებენ. მთავრობის სხდომის პარალელურად, კანცელარიის ფოიეში ის სოციალურად დაუცველი ოჯახები შეიკრიბნენ, რომლებიც უკვე მეორე დღეა თავშესაფრის მოთხოვნით შიმშილობენ.**

მთავრობის კანცელარიის ფოიეში სოციალურად დაუცველი რამდენიმე ათეული ადამიანი, მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად, მთავრობის სხდომის დაწყებამდე შეიკრიბა. ხანდაზმულები სკამებზე სხედან, ბავშვები ფოიეში დარბიან. ისინი მთავრობის სხდომის დასრულებას და ახალი ხელისუფლებისგან პასუხს ელიან, თუ როდის მოხერხდება მათი საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა. იქ შეკრებილი ადამიანების ამბები ერთმანეთს ჰგავს: მათ არ აქვთ სამუშაო, მათ არ აქვთ სახლი, მათი ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად არის შერყეული. ირმა ქარცივაძე კანცელარიის ფოიეში მცირეწლოვან შვილთან ერთად ელოდება ხელისუფლების პასუხს იმის თაობაზე, მოხერხდება თუ არა მათი ბინით დროულად უზრუნველყოფა. ამ მოთხოვნით ის და 40-მდე ადამიანი უკვე მეორე დღეა შიმშილობს:

**„ვითხოვთ თავშესაფარს. ვცხოვრობ ქირით უკვე მეექვსე წელია. აღარ შეგვიძლია, ველარ ვიხდით ბინის ქირას. ნათესავებიც აღარ გვღებულობენ. გულისმანკიანი ბავშვი მყავს — აი, ნახეთ. მეორე დღეა ვშიმშილობთ და ვითხოვთ ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრას, მაგრამ ჩვენი მომხედავი არავინაა“...**

ხანგრძლივი პროექტისათვის, როგორიცაა არა დროებითი, არამედ მათ საკუთრებაში გადასაცემი ბინების მშენებლობა, დასახლების მშენებლობა, მოითხოვს დაწვრილებით ფინანსურ ანალიზს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი თანხა და არავინ დაპირდეს ამ ხალხს, რომ ამ კითხვაზე პასუხი მზად არის... ამბობს დავით სერგიენკო

კანცელარიის ეზოში დგას 76 წლის დარიკო ც. ამბობს, რომ უკვე წლებია ბინას კიბის ქვეშ 80 ლარად ქირაობს. ის მარტოხელაა:

**„მოხუცი ვარ, მაგრამ ჯერ კიდევ ხომ უნდა ვიარსებო? 80 ლარს რომ ქირაში გადავიხდი, რითილა ვიცხოვრო? ხანდახან რაღაცას დავაფასებინებ ხოლმე გამყიდველს და მერე ვფიქრობ, ნეტა, რას ვეკითხები, მაინც ხომ ვერ ვიყიდი-მეთქი. პურის ფულიც კი აღარ მრჩება. ბინა მინდა, საკუთარი თავშესაფარი, რომ იმ უბედურებაში არ ამომხდეს სული“.**

# ახალი მთავრობის გეგმა სოციალურად დაუცველთა დასახმარებლად



31 ოქტომბერს, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, კანცელარიის ფოიეში შეკრებილ სოციალურად დაუცველ ოჯახებთან ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ ჩამოსულა. დაპირება იმის შესახებ, რომ ზრუნვა მათი პრობლემების გამოსასწორებლად უახლოეს საათებში დაიწყება, მინისტრებმა კანცელარიის მეთორმეტე სართულზე ჟურნალისტებს მისცეს.

**დავით სერგიენკო, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, იყო პირველი, რომელმაც კანცელარიის მეთორმეტე სართულზე ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. სამოქმედო გეგმა, რომელიც სხვადასხვა ფართებში შეჭრილი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემების მოგვარებისკენ არის მიმართული, მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა და გეგმის განხორციელება უკვე დაწყებულია, განაცხადა მან და იქვე სამოქმედო გეგმის დეტალები განმარტა.** მისი განცხადებით, 30 ოქტომბრის მონაცემებით, სოციალურად დაუცველი სხვადასხვა შენობაში შეჭრილი 1660 ადამიანის საკითხს სოციალური აგენტები სწავლობენ და მიმდინარეობს კითხვარების შევსება, რომ მათი უპირველესი საჭიროებები გამოვლინდეს.

**„მთავარი ამოცანაა, რომ გამოვყოთ ბიუჯეტი იმისათვის, რომ ყველაზე გაჭირვებულ ოჯახებს, რადგან მათ ძალიან ეჩქარებათ და მრავალ მათგანს თავშესაფარიც კი არ აქვს, უკვე დავიწყოთ მათი დაკმაყოფილება ბინის ქირის გადახდით, რათა მყისიერად, უახლოესი დღეების განმავლობაში, ჰქონდეთ თავისი ჭერი, სადაც ოჯახთან ერთად იცხოვრებენ. ჩვენი ამოცანაა, რომ მოხდეს რეალური დიფერენცირება — რამდენია რეალურად სოციალურად დაუცველი ადამიანი და რამდენი ხელოვნურად მიკედლებული“,** — აცხადებს დავით სერგიენკო.

**მისივე თქმით, სამოქმედო გეგმა, რომელიც კანცელარიის მეთორმეტე სართულზე დამტკიცდა, ასევე გულისხმობს სოციალურად დაუცველ ადამიანებს შორის შრომისუნარიანთა გამოვლენასა და მათ დასაქმებას. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების ნაწილი უარს აცხადებს, ასე ვთქვათ, ქირით გასვლაზე და ისინი საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემას მოითხოვენ. ხომ არ იგეგმება უახლოეს მომავალში სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის რაიმე ტიპის საცხოვრებელი ფართების მშენებლობა?** — ამ კითხვით რადიო „თავისუფლებამ“ დავით სერგიენკოს მიმართა. მისი პასუხი იყო: **ჩვენ ვზრუნავთ იმაზე, რომ ადამიანებს ჰქონდეთ შესაბამისი პირობები, მაგრამ ვიდრე ბიუჯეტის ზუსტი პროექტი არ გვექნება, კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ...**

**„ხანგრძლივი პროექტისათვის, როგორიცაა არა დროებითი, არამედ მათ საკუთრებაში გადასაცემი ბინების მშენებლობა, დასახლების მშენებლობა, მოითხოვს დაწვრილებით ფინანსურ ანალიზს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი თანხა და არავინ დაპირდეს ამ ხალხს, რომ ამ კითხვაზე პასუხი მზად არის. ეს არ არის მარტივი საქმე. ამ დროისათვის რეგისტრირებულია 1660 სოციალურად დაუცველი ადამიანი, რომლებიც სხვადასხვა ფართებში არიან შეჭრილი, თორემ რეალურად მათი რიცხვი ათეულ ათასობით ადამიანს აღწევს და საუბარია ძალიან დიდ ბიუჯეტზე“,** — ამბობს დავით სერგიენკო.

**ის, რომ 2013 წლის ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სოციალური პროგრამების დაფინანსება იქნება, ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა. მისი მტკიცებით, ერთ-ერთი მთავარი საკითხი იქნება პენსიის მიახლოება საარსებო მინიმუმთან. ფინანსთა მინისტრის განცხადებითვე, 10 პროცენტით შეუმცირდება დაფინანსება ფინანსთა სამინისტროს, დაზოგილი თანხა კი იმ პროგრამების განხორციელებას მოხმარდება, რომლებიც ქვეყნისთვის პრიორიტეტულია. ნოდარ ხადურს ვკითხეთ, გაიწერება თუ არა 2013 წლის ბიუჯეტში სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების თანხები.**

31 ოქტომბრის მონაცემებით, სოციალურად დაუცველი და დევნილი ოჯახები საქართველოს მასშტაბით 46 ობიექტში არიან შეჭრილნი. ისინი დაკავებული ფართების დაცლას მანამდე არ აპირებენ, სანამ ხელისუფლება მათ საცხოვრებელი ფართებით არ უზრუნველყოფს. უნდა ითქვას ისიც, რომ, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის **დავით დარახველიძის** თქმით, მიმდინარეობს სხვადასხვა შენობაში შეჭრილი დევნილების აღრიცხვა, რათა მოხდეს მათი საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება, პარალელურად კი, ტარდება საგამოძიებო სამუშაოები, ვინაიდან, ამბობს დარახველიძე, არსებობს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოქმედებს თაღლითური სქემა, რომლის მონაწილეებიც ფართების გადაყიდვას ან გაქირავებას გეგმავენ.

**ნინო თარხნიშვილი,**
რადიო „თავისუფლება“

## ◉ დღევანდელობა

**ამას წინათ ჩვენი გაზეთი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შემდგარი ერთი წარდგინების თაობაზე იტყობინებოდა. ლაპარაკია ელდარ ისმაილოვისა და ვლადიმერ (ლადო) პაპავას მონოგრაფიაზე „ცენტრალური ევრაზია. ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება“ (გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2012).**

**წიგნი ბაქოელი და თბილისელი მკვლევარების „თანამსხმოიარობის“ ფრიად საგულისყურო ნაყოფი გამოდგა. ნაშრომში ცენტრალური ევრაზიის გეოპოლიტიკური პრობლემებია შესწავლილი (ცენტრალური ევრაზია განისაზღვრება, როგორც ცენტრალური ევროპის, ცენტრალური აზიისა და იმათი დამაკავშირებელი რეგიონის — ცენტრალური კავკასიის ერთიანობა); შემოთავაზებულია პრინციპულად ახალი გეოპოლიტიკური მიდგომა მოცემული რეგიონისადმი, ძირეულად განსხვავებული ფართოდ გავრცელებული იმპერიული დოქტრინებისაგან.**

**ვესაუბრებით მონოგრაფიის ერთ-ერთ ავტორს, ეროვნული აკადემიის წევრს, პროფესორ ვლადიმერ პაპავას.**

# მოუსვენარ-დაუსვენარი...

**— ბატონო ლადო, თუ შეიძლება, გააცანით მკითხველს თქვენი ბაქოელი თანაავტორი.**

— ელდარ ისმაილოვი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ დიდი პატივის ღირსად ცნო და უცხოელ წევრად აირჩია. თქვენც იყავით იმ პრეზენტაციაზე... აკადემიის პრეზიდენტმა თამაზ გამყრელიძემ აკადემიკოსის დიპლომი საზეიმო ვითარებაში გადასცა ბატონ ელდარს... ის ეროვნებით აზერბაიჯანელი გახლავთ, ბაქოში კავკასიის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის დამაარსებელი და დირექტორია; ახლა კი ბაქოელია, მაგრამ ძველი თბილისელიცაა: აქ დაიბადა, აქვე დაამთავრა რუსული საშუალო სკოლა, შესანიშნავად იცის ქართული ენა და იცის სომხურიც. არაქართველი კაცისათვის ენების ასე ცოდნა, მოგეხსენებათ, ერთგვარი თბილისური ფენომენია...

**— როგორ „გახვედით“ მასზე?**

— 1979 წელს გავიცანი მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც ორივე ასპირანტი ვიყავით. მაშინ 25 წლის ახალგაზრდა კაცი გახლდათ, ახლა 58-ისაა... იქ დავუახლოვდით, დავმეგობრდით და მას აქეთ არა მარტო მეგობრები ვართ, არამედ, ასე ვთქვათ თანაკალმოსნებიც. „ცენტრალური ევრაზია“ ჩვენი მეორე ერთობლივი წიგნია.

**— თქვენი შემოქმედებითი მეგობრობა, ალბათ, გაგრძელდება...**

— რამდენიმე წელიწადში შეიძლება მესამე წიგნიც გაჩნდეს... სხვათა შორის, სპონტანური თანაავტორობა გამოგვდის: წინასწარ არ ვგეგმავთ ნაშრომებს. მე ელდარს ვუგზავნი ჩემს ხელნაწერებს, ის მე მიგზავნის. ინტერნეტის წყალობით, გაგზავნა-გამოგზავნა პრობლემა არ არის... თუ ჩვენი კვლევითი ინტერესები გადაიკვეთება, მონოგრაფიებიც გამოგვდის...

**— იმ წარდგინებაზე ელდარ ისმაილოვზე ითქვა, თუ როგორ უყვარს საქართველო, ქართველები, ქველმოქმედიც როგორია...**

— მეოჯახეც... მეუღლე უცხო ენების სპეციალისტია, პროფესორი; ქალიშვილიც მაღალინტელექტუალური ჰყავს. ელდარი ბიზნესმენიცაა, თან ფართო მასშტაბისა. ბაქოში დაარსებული აქვს ბანკი, სახელად „კავკასიის განვითარების ბანკი“, თბილისში ფილიალით; ასეთი საქმიანობით აფინანსებს ბევრ მეცნიერულ პროექტსაც... შვედეთში ორ ინგლისურენოვან სამეცნიერო ჟურნალს გამოსცემს, ორივეს კავკასიის თემატურობით: ერთს ჰქვია „ცენტრალური აზია და კავკასია“, მეორეს — „კავკასია და გლობალიზაცია“; მსოფლიოს 68 ქვეყანაში ვრცელდება. იქ ხშირად იბეჭდებიან ქართველი ისტორიკოსები, ეკონომისტები, პოლიტოლოგები, კულტუროლოგები... საერთოდ, არაერთ ქართველ ავტორს ეხმარება პუბლიკაციებში.

ეს ელდარ ისმაილოვმა დააფინანსა „ქართლის ცხოვრების“ პირველი სრული რუსული თარგმანი (მანამდე ფრაგმენტები იყოძ და თბილისსა და ბაქოში გამოცემა. მანვე ამას წინათ ბაქოში დასტამბა „ვეფხისტყაოსანი“ აზერბაიჯანულ ენაზე — მთარგმნელი გახლავთ ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტი სამედ ვურგუნი. აი, როგორ გამოხატავს ქართველების სიყვარულსა და საქართველოს პატივისცემას!

**— ლადო-ბატონო, მე ვიცი, როგორი მოუსვენარი და „დაუსვენარი“ მკვლევარ-ეკონომისტი ხართ... ახლა რითი ხართ დაკავებული?**

— ორ წიგნზე ვმუშაობ პარალელურად, ორივე აშშ-ში გამოვა ინგლისურ ენაზე. ერთი მაკროეკონომიკის საკითხებს ეძღვნება, ქართველი თანაავტორი მეყოლება, სათაური ჯერ არ მოგვიფიქრებია... მეორე პრაქტიკულად უკვე დავასრულე, გამომცემლობისათვის ვამზადებ, ბოლო ორი წლის საქართველოს ეხება, ორ არჩევნებს შორის: 2010 წლის მეორე ნახევრიდან (ადგილობრივი არჩევნებიძ წლევანდლამდე (საპარლამენტო არჩევნებიძ.

**— ისე ვერ დაგშორდებით, რომ არ გკითხოთ თქვენ, გამორჩეულ სპეციალისტს, ტელეეკრანისა და პრესის ფურცლების ხშირ და სასურველ სტუმარს: ამჟამინდელ სიტუაციაზე რას იტყვით?**

— ძალიან მოკლედ გიპასუხებთ: საქართველო დგას ბოროტებისაგან განთავისუფლების გზაზე...

...ვუერთდები ბატონი ლადოს ლაკონურ შეფასებას და ფიქრით, გალაკტიონის დასესხებით, ცოტა „დავაგრძელებ“: არსად არგადაუხვიოს, ეს გზა სწორზესწორია...

**თამაზ ეზანოიძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „ქართული ოცნება“: სააკაშვილის ნეიტრალიზაცია

## მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტი-ოპოზიციონერი გახდა

საქართველოს პარლამენტში დაიწყეს საკონსტიტუციო უმრავლესობის ჩამოყალიბება. არჩევნების გამარჯვებულს, კოალიცია „ქართულ ოცნებას“, რომელსაც 85 მანდატი აქვს, დასახული მიზნის მისაღწევად 15 არ ჰყოფნის. „ქართულ ოცნებას“ კონსტიტუციური უმრავლესობა სჭირდება სხვადასხვა მიზეზის გამო. მათ შორის პარლამენტის ქუთაისიდან უკან თბილისში დაბრუნებისთვის, აგრეთვე პრეზიდენტის არჩევნების თარიღის გადასინჯისთვის. ესე იგი მიხეილ სააკაშვილისთვის ამჟამინდელი უფლებამოსილების ჩამორთმევისთვის.

პარლამენტის თბილისში გადმოტანასთან დაკავშირებით „ქართულ ოცნებას“ შეუძლია განსაკუთრებით არ იჩქაროს – სულ ერთია, დედაქალაქში შესაბამისი ოფისი არ არის. წინა შენობა პრივატიზებული იყო და, მართალია, განსახელმწიფოებრიობის პროცესი შეჩერებულია, იქ მუშაობა შეუძლებელია – ახალმა მეპატრონეებმა მოასწრეს დაეწყოთ გარდაქმნა და კედლების გარდა აღარაფერი დარჩენილა.

პარლამენტის ახალი შენობაც არ არის მზად. დეპუტატები ამბობენ, რომ სხდომათა დარბაზის გარდა არაფერია. შესვენებების დროს ჯგუფებად იკრიბებიან დერეფნებში – კაბინეტებიც კი არ არის მზად. ქუთაისში არ არის სასამსახურო ბინები. მათ უწევთ ცხოვრება დაქირავებულ ბინებში, სასტუმროებში, ნათესავებთან. ასე თუ ისე, მათ მოუწევთ ლოდინი, სანამ პარლამენტის ისტორიულ შენობას წესრიგში მოიყვანენ.

პრეზიდენტთან დაკავშირებით საქმე უფრო რთულადაა. პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენლები ამბობენ, რომ სააკაშვილის ხუთწლიანი უფლებამოსილება თავდება 5 იანვარს, მაშასადამე, პრეზიდენტის არჩევნები უნდა დაინიშნოს დაახლოებით ამ დროისთვის და არა 2013 წლის ოქტომბრისთვის, როგორც დაფიქსირებულია კონსტიტუციაში, რომელიც არაერთგზით გადააკეთა მმართველმა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ სახელმწიფოს მეთაურის საამებლად. კულისებსმიღმა „პროცედურებმა“ პარლამენტის მუშაობის პირველ კვირას მიგვიყვანა იმასთან, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ უკვე გამოვიდა ხუთი დეპუტატი, რომლებიც აპირებენ ჩამოაყალიბონ „დამოუკიდებელ დეპუტატთა“ ფრაქცია. მეექვსე დეპუტატი, ფრაქციის შექმნისთვის ეს ოდენობაა საჭირო, უკვე ზღვართანაა, გვარწმუნებენ „გამთიშველები“. როგორც გამოცდილება გვიკარნახებს, „დამოუკიდებლები“ ისინი დიდხანს არ იქნებიან. ძალთა ასეთი სწრაფი შეცვლა, რასაკვირველია, არ არის იმის გარანტია, რომ კიდევ ერთი-ორი კვირის შემდეგ „ქართული ოცნება“ შეძლებს ჩამოაყალიბოს კონსტიტუციური უმრავლესობა. თუმცა ამ კოალიციაში შემავალი რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი ლევან ბერძენიშვილი დარწმუნებულია სწორედ ასეთი სცენარის რეალიზაციაში: „აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული, რომ ეს მალე მოხდება“.

სხვათა შორის, „ქართული ოცნება“ თუ ვერ შეძლებს ჩამოაყალიბოს კონსტიტუციური უმრავლესობა, კოალიციას აქვს სხვა გზაც. დეპუტატებს შეუძლიათ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნით პრეზიდენტის არჩევნების კანონიერების შესახებ მომავალი წლის ოქტომბერში, და იგი იძულებული იქნება გამოიტანოს ვერდიქტი. შესაძლებელია, რომ „ქართული ოცნება“ მიმართავს ამ სცენარს. ჯერჯერობით კი საცდელი ბურთი გაუშვა პარტიამ „თავისუფალი საქართველო“.

ახალ პარლამენტში იგი წარმოდგენილი არ არის – წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობის დაწყებიდან ამ ოპოზიციურმა პარტიამ მოხსნა თავისი რამდენიმე მაჟორიტარი კანდიდატი „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის ნდობისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, და კოალიციაში იგი არ მიიწვიეს. როგორც მისმა ლიდერმა კახა კუკავამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, კონსტიტუციაში ნონსენსია.

„70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პრეზიდენტი ირჩევა ხუთი წლის ვადით. ამავე მუხლის მე-9 პუნქტში მითითებულია, რომ მორიგი პრეზიდენტის არჩევნები ეწყობა პრეზიდენტის უფლებამოსილების გასვლის კალენდარული წლის ოქტომბერში. ეს როგორ, თუ სააკაშვილის მეორე ხუთწლიანი ვადა გადის 2013 წლის 5 იანვარს? მისი უფლებამოსილება გრძელდება უმალვე ათი თვით! ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის ინაუგურაცია მოხდა იანვარში, გამოდის, რომ სააკაშვილის მეორე საპრეზიდენტო ვადა ექვსწლიანია“, – განაცხადა კახა კუკავამ.

იქნებ აზრთა სხვადასხვაობის ახსნა არის ის, რომ 2008 წლის 5 იანვარს გაიმართა პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნები. შეგახსენებთ, 2007 წლის შემოდგომაზე საქართველო აღმოჩნდა მკაცრ შინაპოლიტიკურ კრიზისში. მაშინ სააკაშვილმა უკეთეს ვარიანტად მიიჩნია უფლებამოსილებათა ჩაბარება და ახალი ვადამდელი არჩევნების დანიშვნა. საზოგადოებაში მისმა გადაწყვეტილებამ დაძაბულობა შეანელა. 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის იანვრამდე პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი იყო პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე, სააკაშვილმა კი გააჩაღა ძლიერი კამპანია, მაგრამ არც უპრობლემოდ, თუმცა, შეძლო მოეგო თავისი მეორე არჩევნები. მაგრამ კახა კუკავა, სხვათა შორის, განათლებით იურისტი, მიიჩნევს, რომ ეს ვერსია მოიკოჭლებს, ვინაიდან უკანასკნელი ცვლილებები კონსტიტუციაში პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით მიღებული იქნა იმ ვადამდელი არჩევნების შემდეგ და არცთუ უპრეცედენტო ვითარებაში, როდესაც პრეზიდენტის ერთი ვადის ვადამდელი დასრულება იძლეოდა მეორის გაგრძელების უფლებას. „ჩვენ მივმართეთ საკონსტიტუციო სასამართლოს და ველოდებით განმარტებას ამ საკითხთან დაკავშირებით. მინდა აღვნიშნო, რომ ეს არ იქნება გადაწყვეტილება, თუ ამ ინსტანციას მიმართავდნენ დეპუტატები, არამედ ეს იქნება სწორედ განმარტება“, – თქვა კუკავამ ჩვენთან საუბარში. ამავე დროს პოლიტიკოსმა ეჭვი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ „ქართული ოცნება“ მწვავედ არის დაინტერესებული საკითხის გადაწყვეტით სწორედ დღეს, – ეს დასავლეთის მიერ შეიძლება ნეგატიურად იქნეს აღქმული, ვინაიდან სააკაშვილი ავლენს კონსტრუქციულ მიდგომას. მაგრამ „ქართულ ოცნებას“ შეუძლია მოემზადოს შემდგომი მოვლენებისთვის.



„სააკაშვილს ესმის, რომ ამჟამად რაიმე დაბრკოლებების აგება ივანიშვილისთვის არ ღირს – პრემიერის მიმართ სიმპათიას გამოთქვამს მოსახლეობის 80 პროცენტი. ბევრი რამ არის დამოკიდებული ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნების შედეგებზე, აგრეთვე იმაზე, თუ როდის დაიწყება ახალი ხელისუფლების პოპულარობის დაცემა. ამ დროს, კონსტიტუციის მიხედვით, სააკაშვილს არ აქვს უფლება გაუშვას პარლამენტი მისი მუშაობის პირველ ნახევარ წელიწადს“, – შენიშნა კუკავამ. მაგრამ მას ასევე არ აქვს უფლება გაუშვას იგი თავის უფლებამოსილებათა ამოწურვამდე ნახევარი წლით ადრე. ამრიგად, საკონსტიტუციო-სამართველო კრიზისის მოწყობის დრო პრეზიდენტისთვის შეზღუდულია პერიოდით აპრილის ბოლოდან ივნისამდე. ამ დროისთვის ახალ ხელისუფლებას შეიძლება დაუგროვდეს გადაუჭრელი პრობლემები, რომლებმაც შეიძლება დაბლა დასწიონ რეიტინგი. და, შეიძლება, „ქართულ ოცნებას“ სურს ჰქონდეს ერთგვარი ჯავშანი ზემოაღნიშნული პროვოცირებული კრიზისისთვის.

როგორც ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ერთბაშად რამდენიმე იურისტი ვარაუდობს, იქნებ, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ უკვე ახლა თანდათანობით იწყება რეზონანსული დანაშაულებების „დატრიალება“, რომლებიც მოხდა „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში. ერთი მხრივ, ამბობენ ისინი, ამისთვის არის საზოგადოებრივი დაკვეთა. მეორე მხრივ – აუცილებელია დამნაშავეთა გამოკვლევები და დასჯა, თუ ახალი ხელისუფლება, როგორც გვპირდებოდა, აპირებს გადააქციოს საქართველო სამართლებრივ სახელმწიფოდ. მესამე, ორი ზემოხსენებულის გარდა, „რეზონანსული დანაშაულობანი“ შეიძლება აღმოჩნდეს ზერკეტად კონკრეტულ სიტუაციებზე ზემოქმედებისთვის, თუ ამის საჭიროება გაჩნდება.

იუსტიციის სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ იკისრა ვალდებულება გამოიკვლიოს უკანასკნელი წლების ყველა გახმაურებული და „უცნაური“ამბები: პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დაღუპვა, საპროტესტო აქციების მკაცრი დარბევები, პოლიციის მიერ ახალგაზრდების მისამართით ცეცხლის გახსნა მხოლოდ „ეჭვის“ მიზეზით, ციხეების ბუნტები, რომლებსაც აქვთ გარედან პროვოცირების ნიშნები, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი რანგის თანამშრომლების მიერ ბანკის თანამშრომლის სანდრო გირგვლიანის მკვლელობა, ბადრი პატარკაციშვილის მოულოდნელი გარდაცვალება, „ჯაშუშური სკანდალების“ სერია, „სპეცოპერაცია ლოპოტის ხეობაში“ რუსეთის საზღვრის მახლობლად. „მაგრამ ყველა ამ საქმეში პრეზიდენტის პირდაპირი მონაწილეობის დადასტურებათა ალბათობა, თუ ეს მართლაც იყო, მეტად დაბალია, – განმარტა ერთ-ერთმა თანამოსაუბრემ. – მაგრამ არის „აფრასიძეების ოჯახის საქმე“, რის შესახებაც თავად სააკაშვილს არაერთგზის, მათ შორის პირდაპირ ტელეეთერშიც, აქვს ნაკისრი პასუხისმგებლობა და განუცხადებია, რომ ბრძანება მასთან გასწორების შესახებ გასცა პირადად მან“.

შეგახსენებთ, რომ 2004 წლის მარტში, ხელისუფლების ვერსიით, მაღალმთიან სვანეთში მოეწყო ანტიკრიმინალური ოპერაცია, რომლის დროსაც დააპატიმრეს დაახლოებით 40 კაცი, აფრასიძეების ოჯახის რამდენიმე წევრი კი, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს, დახოცეს. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ამ ოპერაციის დეტალები საზოგადოდ გახდა ცნობილი.

სოფელს, სადაც აფრასიძეები ცხოვრობდნენ, შეუტიეს განთიადისას, როდესაც ყველას ეძინა. სპეცნაზის რაზმებში რამდენიმე ასეული კაცი შედიოდა და მათ ათობით შვეულმფრენი უჭერდა მხარს. თვითმხილველთა მოწმობით, არანაირი წინააღმდეგობა არ ყოფილა – აფრასიძეების სახლს გაუხსნეს ცეცხლი ხმელეთიდანაც და ჰაერიდანაც. შედეგად ოჯახის სამი წევრი დაიღუპა, ერთი ფსიქიური მოშლილობით დაავადდა, მცირეწლოვან ბავშვებს გაუჩნდათ ღრმა ფსიქოლოგიური ტრავმები. როდესაც საჯაროდ გამოაცხადა, რომ ოპერაცია განხორციელდა მისი ბრძანებით, სააკაშვილმა ამით საკუთარ თავს მახე დაუგო, რომელიც, როგორც ჩანს, შეიძლება ამოქმედდეს ამ დღეებში. დიახ, მას აქვს იმუნიტეტი, მაგრამ ჩვენ აღმოვჩნდით იმის მოწმეები, თუ იგი როგორ აღმოჩნდა ინდულგენციად მთელი რიგი ევროპელი პოლიტიკოსებისთვის“, – გვითხრა თანამოსაუბრემ. ამავე დროს მან ეჭვი გამოთქვა, რომ ასეთ უკიდურესობამდე საქმე ძნელად რომ მივიდეს, „პრეზიდენტი დაასრულებს პარტიას „ქართული ოცნების“ წესებით“.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**კატასტროფა სახეზეა**

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, როდესაც მოინახულა გრიგალ „სენდის“ მიერ დაზარალებული რაიონები, შემოიღო „15 წუთის წესი“. ეს უბედურება შეიძლება დაეხმაროს ობამას რომნის წინააღმდეგ ბრძოლაში, მიაჩნიათ ანალიტიკოსებს. ამ დროს „სენდი“ წასვლის შემდეგაც აგრძელებს დაშინებას: ჰელოუინის მახლობლად აღმოაჩინეს სტიქიის საშინელი „საჩუქრები“: გრიგალმა მიწიდან ამოყარა კუბოები და ადამიანთა ცხედრები.

* * *

**„იტალიურმა ფრანკერშტორმმა“ დატბორა ვენეცია**



1 ნოემბრის ღამით დააფიქსირეს ზღვის დონის მაქსიმალური აწევა – 143 სანტიმეტრზე, ასე რომ, სან-მარკოს ცნობილი მოედანი დაიფარა წყლის ფენით რამდენიმე ათეული სანტიმეტრით. გრიგალმა ვენეციაში ადრიატიკიდან მოიტანა შემოდგომის სიროკო (ცხელი ქარი, იცის სამხრეთ ევროპაში – მთ.), მაგრამ უამინდობისგან ზარალი მიადგა იტალიის დასავლეთ სანაპიროსაც.

* * *

**ნიგერიაში გაათავისუფლეს გატაცებული რუსი მეზღვაურები და მათი ესტონელი კოლეგა**



მეზღვაურების გათავისუფლების ოპერაციის დეტალებს არ ახმაურებენ, მაგრამ, ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის სიტყვებით, ოპერაცია დამთავრდა ხომალდის პატრონთან თანამშრომლობის, აგრეთვე საერთაშორისო და ესტონელი პარტნიორების წყალობით. ნიგერიაში რუსეთის საელჩოში მეზღვაურთა გათავისუფლების შესახებ არაფერი იციან, თუმცა საგარეო საქმეთა სამინისტროში ინფორმაცია დაადასტურეს.

* * *

**ჩინეთში გამოსცადეს მეხუთე თაობის მეორე გამანადგურებელი რუსული ძრავებით**

წინა პროტოტიპის ჯ-20-ის ტესტირებიდან სულ რაღაც წელიწადნახევრის შემდეგ ჰაერში ავიდა ჯ-31, რომელიც ცნობილია, აგრეთვე, სხვა სახელწოდებებითაც. ამრიგად, ჩინეთი ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ გახდა მეორე ქვეყანა, რომელიც ერთდროულად ამუშავებს მეხუთე თაობის ორ გამანადგურებელს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ფოტოს გადინება ქსელში შემთხვევითი არ არის.



# საჭიროა თუ არა სკოლაში მანდატური?

## ანუ შიშს დიდი თვალები ჰქონდა

ახალ რელსებზე უნდა გადაეწყოს განათლების სისტემა! – ასეთია დღევანდელობის გამოწვევა. ამ დარგში იმდენი თავსატეხი პრობლემა მოზღვავდა, საქმე საიდან დაიწყოს კაცმა, გასარკვევია. ჩნდება ბუნებრივი კითხვა: შეძლებს კი ახალი მინისტრი ამ უზარმაზარი ტვირთის გამკლავებას? უნებურად ეჭვმა გამკრა, რადგანაც წინამორბედ მინისტრებთან მისი რაღაც მსგავსება შევნიშნე: ნოდიაც ხომ ფილოსოფოსია და შაშკინსაც გლანჭე ამშვენებს. ისინი როგორი მინისტრები იყვნენ, კარგად ვიცით (ეს ხუმრობით).

ბატონ გიორგი მარგველაშვილს უფრო კარგად ვიცნობთ, როგორც მასმედიის ერუდირებულ ექსპერტ-პოლიტოლოგს, ვიდრე განათლების სისტემის მოღვაწეს. გვახსოვს მისი ენამოსწრებული ტელედებატები ცინიკურად მოსაუბრე მიშა თავხელიძესთან, როცა მან ოპონენტი ამირანივით „დასცა და დააწყებინა ღრიალი (ესეც ხუმრობით).

და აი, ბატონი გიორგი მინისტრის ამპლუაშია „მაესტროს“ ეკრანზე. მყის განქარდა ეჭვის ნატამალიც. პროფესიონალის დონეზე ჩამოაყალიბა საკუთარი ხედვა, მოხაზა სამუშაო პროექტის კონტურები. მომხიბლა მისმა გულწრფელობამ, აზრის სიღრმემ, თავმდაბლობამ. უმაღლეს განათლებას კარგად ვიცნობ, საშუალო სკოლის პრობლემათა ღრმად წვდომისათვის დირექტორებს ამოვიყენებ მხარშიო.

მინისტრმა მანდატურებზეც ისაუბრა და შევატყვე, რომ მათ ბოლომდე ვერ შეელევა! მანდატურის ხსენებაზე აკაკი წერეთლის გიმნაზიაში „პოპეჩიტელის“ (ინსპექტორის) რეჟიმი მაგონდება. მანდატურის ინსტიტუტი ერთი რამით განსხვავდება „პოპეჩიტელობისგან“, აქ გამორიცხულია ფიზიკური დასჯა – „ლინეიკა“ და ლობიოს მარცვალზე დაჩოქება. დანარჩენი: ვიდეოთვალი, მიყურადება, დაბეზღება, შიში – წარმოჩენილია. ამ შემთხვევაში კი შიში ვერ შეიქმს სიყვარულს. შიში შეიქმს სიცრუეს და მლიქვნელობას. წარმოიდგინე მკითხველო, თუნდაც კეთილი სურვილით მუდმივად გაკონტროლებენ. იგრძნობთ თავს თავისუფლად? ნაყოფიერი იქნება თქვენი საქმიანობა? ფსიქოლოგიური ზეწოლა ფიზიკურ ტკივილზე უმწარესია. მასწავლებელი გაკვეთილის უკეთ ჩატარებაზე კი არ ფიქრობს, არამედ იმაზე: ვაი, რამე არ შემეშალოს, თორემ დამაბეზღებენ და გამათავისუფლებენო. მრავალი შემთხვევა ვიცით, მანდატურის აქტის საფუძველზე პედაგოგის ან დირექტორის მოხსნისა.

ვინ არიან ეს მანდატურები? ვინ და პედაგოგიკის, აღზრდის ფსიქოლოგიისგან შორს მდგარი იურისტები, ბუღალტრები, სხვა პროფესიის პირნი, რომლებიც უმუშევრები იყვნენ და შინაგან საქმეთა სამინისტროს წყალობით დაასაქმეს. მათგან შეიძლება ეცხოს მასწავლებლის ცოდნა და მადლი მხოლოდ 5-10 პროცენტს. ერთთვიანმა ტრენინგებმა, მათ მოსამზადებლად ჩატარებულმა, სურათი ვერ შეცვალა. შარშან მანდატურები კერძო სკოლებშიც შევიდნენ. მათ ყველგან აქვთ შექმნილი კომფორტული პირობები: შესანიშნავი კაბინეტი, გათბობა, პედაგოგებზე სამჯერ მეტი ხელფასი და ათჯერ ნაკლები სამუშაო დატვირთვა.

კარგა ხანს, ნაბიჯ-ნაბიჯ, მეთოდურად მზადდებოდა პოლიტიკური გავლენის სკოლებისთვის თავს მოსახვევად ნიადაგი. ჯერ იყო და სკოლის კარისკაცი გაუშვეს და მის ადგილზე სამი-ოთხი პოლიციელი მოვიდა. ამას წინ უძღოდა იდეოლოგიური ფონი: სკოლა საფრთხეშია, დამნაშავეობის ბუდეა სკოლა. აქ კრიმინალური გარჩევებია. და ხდებოდა ამ ვითარების ჰიპერბოლიზაცია. განათლების კანონში შევიდა პუნქტი ლოზუნგით: „ვიზრუნოთ უსაფრთხო სკოლისთვის!“ ყველას გვახსოვს ტელეეკრანები, ფორმაში გამოწყობილი მე-6 მე-7 კლასელები როგორ ასრულებენ სიმღერას პოლიციაზე. მოსწავლეები როგორ წერდნენ საოლიმპიადოდ ან საკონფერენციოდ თავისუფალ თემებს: „მე მიცავს ჩემი პოლიცია“, „მინდა გავხდე პოლიციელი“ და არა – „რატომ მიყვარს სამშობლო“, ან „მინდა ვიყო მასწავლებელი“.

მაგრამ სინამდვილეში ისე არ წვიმდა, როგორც ქუხდა. არ ვამბობთ, თითქოს არ ხდებოდა მოსწავლეთა დანაშაულობები, არ იყვნენ და არ არიან ძნელადაღსაზრდელები. იყო ჩხუბის, ხულიგნობის, დაჭრის, უბედურ შემთხვევათა ფაქტები, სასკოლო დისციპლინური დარღვევები, მაგრამ ისე მასობრივი და საგანგაშო, რომ სასწავლო პროცესი ჩაშლილიყო და „აუღებელი ციხის გამო“ პოლიციური რეჟიმის დამყარება ყოფილიყო საჭირო, არასოდეს მომხდარა. მკითხველს შევახსენებ: ახლო წარსულში „ექსტრემალური სიტუაციები“ შედარებით მარტივად გვარდებოდა. მუშაობდა არასრულწლოვანთა კომისიები. სკოლას მომაგრებული ჰყავდა უბნის ინსპექტორი, რომელსაც საჭიროების მიხედვით გამოიძახებდა სკოლის დირექტორი. მოსწავლეები იშვიათად ხედავდნენ სკოლაში შემოსულ პოლიციელს. ერთი სიტყვით, სკოლის ადმინისტრაცია საკუთარი ძალებით, კლასის ხელმძღვანელთა ეფექტიანი ალმზრდელობითი მუშაობით აგვარებდა პრობლემას.

მოდით, გავიხსენოთ პოპულარული დიალოგი: „რა სარგებლობა მოაქვს მამალს“? – ანალოგიით დავსვათ კითხვა: „რა სარგებლობა მოაქვს მანდატურს“? როგორც ექსპერტმა ნიკა ჩიტაძემ იცის: კი, ბატონო, „გაუმჯობესდა“ დისციპლინა, იკლო გაცდენა-დაგვიანებებმა როგორც მოსწავლეების, ისე პედაგოგთა მხრიდან. სკოლაში მეტი სიწყნარეა. მაღალი კლასის მოსწავლეები ისე არ თავხედობენ, მაგრამ ეს შიშის ფაქტორზე დამყარებული დისციპლინაა, ნაბან წყალს გადაყოლებული ბავშვის წესრიგია, არა შეგნებული, არამედ – ფასადური. ყოველივე ამას პოლიცია არ სჭირდება. ამ საკითხების მოგვარება დირექციისა და კლასის დამრიგებლელთა სასწავლო-აღმზრდელობით გეგმებშია გაწერილი. ზემოთქმულის გათვალისწინებით მანდატურის ინსტიტუტის უსარგებლობა გაცილებით მეტია პოზიტივზე. სპორტული ენით თუ ვიტყვით, ათით ერთია ნეგატივის სასარგებლოდ. დღეს ვერ ნახავთ პედაგოგს, მანდატურის საჭიროებას მხარს რომ უჭერდეს.

ამ ვითარების ფონზე გაგვაოცა 24-ე სკოლის დირექტორის გია მურღულიას განცხადებამ „მაესტროს“ ეკრანიდან. ბატონმა გიამ მაღალი შეფასება მისცა მანდატურთა სკოლაში მოღვაწეობას. ამასთან ერთად ბრძანა: სამინისტროს მხრიდან არავითარ ზეწოლას არ განვიცდიდი, არც არჩევნებში ვუჭერდი მხარს „5“-იანების შემომხაზველთ, ყველაფერი წესრიგში გვაქვს, იდილიურ ვითარებაში ვატარებთ რეფორმებსო. მას მთლიანად მხარი აუბა სახელოვანი პირველი სკოლის დირექტორმა ამირან ჯამაგიძემ, მკერდით იცავდა მანდატურებს, მაგრამ ტელეწამყვან ნინო ჟიჟილაშვილის დაჟინებულმა შეკითხვებმა აიძულა ეთქვა, მანდატურები სკოლებში საჭირონი არ არიანო.



განათლების სამინისტრო სკოლების, ბაგა-ბაღების გაუქმება-გაყიდვას, პედაგოგთა გაყრას სამსახურიდან, კაბინეტების, რელიგიური კუთხეების შეკვეცას მუდამ ოპტიმიზაციას ეძახდა, მუდამ იმის ცდაში იყო, რაც შეიძლება ნაკლები ფინანსები დაეხარჯა პედაგოგთა საკეთილდღეოდ.

ოთარ ქინქლაძის მინისტრობის დროს მთელ საქართველოში სასკოლო და ბაგა-ბაღთა მშენებლობის ბუმი იდგა. მახსოვს, ერთ წელიწადს თბილისში 8 სკოლა და ათზე მეტი ახალი ბაგა-ბაღი აშენდა. ნაციონალები რომ ასე ბაქი-ბუქობენ, შენებაში დავით აღმაშენებელს ვაჯობეთო, 2004 წლის აქეთ ერთ ახალაგებულ სკოლას ან ბაგა-ბაღს თუ დამისახელებენ (კაპიტალურ რემონტს არ ვგულისხმობ), ბოდიშს მოვიხდი. გაუქმებით კი ბევრი გააუქმეს და გაყიდეს. მათ ვინ ჩამოთვლის, მაგრამ ერთი სევდიანი ისტორია რომ არ გავიხსენო, არ შემიძლია.

სახელოვანი მე-15 სკოლის 70-წლიანი იუბილეს გადახდა ძლივს მოვასწარით, რომ სამწუხაროდ, 2008 წელს იგი ჩამოინგრა. ორი წელიწადი გვატყუა განათლების სამინისტრომ, პროექტი, ხარჯთაღრიცხვა შედგენილი გვაქვს და მალე ახალს აგიშენებთო. მოულოდნელად შაშკინმა ყველაფერს ხაზი გადაუსვა. თურმე ჩვენი სკოლა ბიზნესმენ მერაბ სამადაშვილისთვის მიუყიდიათ.

არ ვიცი, რა დავარქვა: ალბათ, პედაგოგიური რეპრესიები. დიდად ნალვაწი, სახელოვანი დირექტორები პანტაპუნტით მოაშორეს სკოლებს. ისეთი თავდადებული, საქმის მცოდნე და დაუღალავი დირექტორი იშვიათად შემხვედრია, როგორიც სოსო ლაგვილავა იყო. მეოთხედი საუკუნე ღირსეულად თავკაცობდა 142-ე სკოლას, მოწინავე გახდა, დიდ წარმატებას აზიარა. იყო ავტორიტეტიანი, მოსწავლეებისა და პედაგოგების მეგობარი. ბევრჯერ მინახავს, მუშებთან ჩამდგარი რომ სკოლის კარფანჯრებს ღებავდა, კედლებს ლესავდა, საკუთარი მანქანით ეზიდებოდა სამშენებლო მასალას. და ერთ არამშვენიერ დღეს კი რაღაც მცირე გადაცდომისა თუ გაუგებრობის გამო მთელი ღვაწლი წყალში ჩაუყარეს, სკოლას მოაშორეს. უბრალო სიტყვიერი მადლობაც არავინ უთხრა.

მინისტრებო, განათლების მესვეურებო, რატომ დაამკვიდრეთ ასეთი უმადურობა? რატომ ხდება, რომ ზოგის ბამბაც ჩხრიალებს და ზოგისა კაკლის ხმაც არ ისმის? მინისტრი, რომელსაც მართლა სურს განათლების სისტემის ალმავლობა-გაძლიერება და სხვა ქვენა ზრახვებით არაა შეპყრობილი, ჭეშმარიტად შემოქმედ, ამინდის შემქმნელ, გამოცდილ დირექტორებს, სკოლიდან არ გაუშვებდა. ასეთები მრავლად არიან!

ახლა კი მინდა ჟურნალისტის სამრეკლოდან გესაუბროთ ყბადაღებულ თემაზე: „გამჭვირვალობა“.

შაშკინმა ჟურნალისტებს სკოლების, ბაგა-ბაღების შესასვლელი კარები ჩაგვირაზა და ახლოს არ გვაჭაჭანებდა. თურმე დირექტორები შეშინებული ჰყოლია, არ გაბედოთ და ჩვენი ნებართვის გარეშე ინტერვიუ არავის მისცეთო.

მკითხველო, მე ფაქტებს მოგაწოდებთ და დასკვნა თქვენ გააკეთეთ.

დედაქალაქის 191-ე სკოლას ვესტუმრე. მოწინავე პედაგოგებზე, სწავლა-აღზრდაში მიღწეულ წარმატებებზე სტატიის დაწერა მინდოდა. დირექტორი ირინე გაგოშიძე, რომელიც ადრე მუდამ გაბადრული მხვდებოდა, შეშინებულ-მოღუშული მეჩვენა, ამაზე დროებით თავი შევიკავოთო. კრიტიკული წერილი არ იქნება. თუ არ მენდობი, მასალას გამოქვეყნებამდე წაგაკითხებთ-მეთქი. რესურსცენტრის უფროსს (მგონი, რუსუდან ჩხეტია იყო) დაუკავშირდა და ყურმილი გადმომცა. – ქალბატონო, თქვენი მხარდამჭერი გაზეთიდან ვარ, შეიძლება, ამ სკოლაზე კარგი სტატია გავაკეთო-მეთქი. შეიძლება, ოღონდ დაბეჭდვამდე მოგვიტანე და წაგვაკითხეო.

სხვა სკოლებში სამინისტროსგან გაცემული საშვი მომთხოვეს. სამინისტროს პრესცენტრში კი მითხრეს ჩვენ საშვს არ ვიძლევით, არც სკოლის საქმეში ვერევით. დირექტორის გადასაწყვეტია, მიგიღებთ თუ არაო.

46-ე სკოლის დირექტორს ილია ჯავახიას დავუკავშირდი: ბატონო ილია, რამდენი გყავთ სერტიფიკატიანი და „მენტორი“ მასწავლებელი, რამდენი მედალოსანი გამოუშვით, რამდენი გახდა 100-პროცენტიანი გრანტის მფლობელი სტუდენტი? მე ვიღაცებს ინფორმაციას არ ვაწვდიო. ვიღაცა კი არა, განათლების სისტემის მუშაკი ვარ, პედაგოგიური გაზეთის ჟურნალისტი-მეთქი. სამინისტროდან ნებართვა მომიტანეო.

117-ე სკოლაში ორი ათასლარიანი ხელფასის მქონე პედაგოგი მოღვაწეობს. დირექტორი დალილა ზუხბაიასთან შეთანხმებით თორმეტ საათზე სკოლაში გამოვცხადდი. მე და დალილა აფხაზეთიდან დევნილები ვართ. შარშანწინ მის სკოლაზე მშვენიერი წერილი მოვამზადე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს შორის ნდობის დეფიციტი არ არსებობს. დარაჯმა სკოლაში არაფრისდიდებით არ შემიშვა, დირექტორი სადღაც წავიდა, ჩემთვის არაფერი დაუბარებია, სამინისტროს ნებართვა მაჩვენეო... სკოლის დერეფანში ლოყებდაბრაწული მანდატური არხეინად ბოლთასა სცემდა. დირექტორის მოადგილესთან მაინც შემიშვი-მეთქი. აინუნშიაც არ ჩამაგდო. ინტერვიუსთვის საჭირო კითხვარი ფურცელზე ჩამოვწერე, ეს მაინც შეიტანეთ კანცელარიაში-მეთქი. არაო. შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი! დამსახურებულ პედაგოგს, მთელი ცხოვრება რომ სკოლაში გამიტარებია, დერეფანში ცხვირს არ მაყოფინებენ. აი, შაშკინის ციხის რეჟიმი, უსულგულო დარაჯი და მანდატურები! ილბლად ნაცნობი პედაგოგი დავლანდე და ვთხოვე, დირექტორის მოადგილე ჩამოსულიყო. მანანა ტალახაძეს გადავეცი კითხვარი. მეორე დღეს დირექტორს შევეხმიანე, საგაზეთო მასალას მალე მოგიმზადებო, – შემპირდა. ეს მალე კი უსასრულოდ გაგრძელდა და სტატიამ ჩაილურის წყალი დალია. დალილა, რატომ იკადრეთ ჩემი მოტყუება? არ გემდურით, რადგან ვიცი, რომ შაშკინმა შეგაშინათ და სიცრუეს შეგაჩვიათ.

47-ე სკოლის დირექტორის მისაღებში ვზივარ. ამ სკოლასაც ორი 1000-ლარიანი ხელფასის მქონე მასწავლებელი ჰყავს. მეფე ლუდოვიკომ სულხანსაბა დიდხანს ალოდინა და მაინც მიიღო. მე კი დირექტორმა ირა ხუციშვილმა კარგა ხანს მალოდინა და არ მიმიღო. თანაშემწეს უბრძანა, მოადგილე თამარ ყიფიანთან შეიყვანეო. ქალბატონმა თამარმა განმიმარტა: ჩვენი პედაგოგები ისეთი თავმდაბლები არიან, არ უნდათ პრესაში ვინმემ შეაქოთ. გადავცემ თქვენს თხოვნას და პასუხს მალე გაგცემთო. ისე არაფერი გეტკინოთ, მკითხველო, როგორც ქალბატონმა თამარმა პასუხისთვის თავი შეიწუხა. თავად შევეხმიანე. უარი განაცხადეს და რა ვქნაო, – კმაყოფილი იყო, იოლად რომ მომიშორა.

21-ე სკოლის დირექტორი მაია ჩიკვაიძე ინტერვიუზე დავითანხმე, შუა საუბარში ვიყავით, რომ მოულოდნელად მიმატოვა და გაუჩინარდა...

ახლო წარსულში ვინ გეტყოდათ, სკოლაში არ შემოხვიდეო, პირღიმილიანი მიგიღებდნენ. სკოლების კი არა, სამინისტროს კარიც მუდამ ღია იყო. მიღებაზე მინისტრები ოთარ ქინქლაძე და ნათელა ვასაძე პირველ რიგში მასწავლებლებს გამოიძახებდნენ. მახსოვს, გურამ ენუქიძე, თათბირს ატარებდა. თანაშემწემ შემოიხედა: მესტიიდან პედაგოგები არიანო. უმალ შეწყვიტა თათბირი მინისტრმა და სტუმრებს მოემსახურა.

სანუკვარი ტრადიციები უთუოდ უნდა დავიბრუნოთ. აუცილებელია უსამართლოდ გაუქმებული განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილება-მმართველობის, მეთოდური ცენტრების აღდგენა. ეს ნაცადი სტრუქტურები გაცილებით უკეთ, ოპერატიულად წყვეტდნენ საგანმანათლებლო ამოცანებს. ასევე საშურია აღდგეს პედაგოგთა მატერიალურ-მორალური სტიმულირების აპრობირებული ფორმები: „დამსახურებული“, „სახალხო მასწავლებლის“ წოდებები. სხვა ჯილდოები.

ახალ მინისტრს, რომელიც ჟურნალისტების დიდი მეგობარია, ვთხოვთ: თავის პრესცენტრთან ერთად მოხსნას ყველა შეზღუდვა, თავისუფლად შეგვიშვას სკოლებში, რომ შევძლოთ მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან შემოქმედებითი თანამშრომლობა.

ვიმეორებთ წერილის დასაწყისში თქმულს: იმდენი პრობლემა დახვავდა, წინ ტიტანური სამუშაო გველოდება, ამ რუბიკონის წარმატებით გადალახვას ვუსურვებთ ახალ მინისტრს და ცნობილი პოეტის სტრიქონებით გავამხნევებთ: „შემეშინდაო, არა თქვა, მურმან, შენ ასე გენება, შენებაშია მშვენება“.

**ბორის მიშველაძე,**
გაზეთ „სახალხო განათლების“
რედაქტორის მოადგილე

### ◉ ინფორმაცია თემაში

## სკოლებში მანდატურის სამსახურის გაუქმება არ იგეგმება

***განათლებისა** და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება 2013 წლის ბიუჯეტით გაიზრდება. ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილმა განაცხადა.*

*მისივე თქმით, გაზრდილი დაფინანსების შემდეგ მოიმატებს მასწავლებლების ხელფასები, სტუდენტების გრანტები, ასევე სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსება. მინისტრის მოადგილის განცხადებით, არსებული ბიუჯეტის პირობებშიც კი იყო შესაძლებელი, რომ გაზრდილიყო სტუდენტებისთვის გამოყოფილი გრანტები და მასწავლებლების ხელფასები.*

*ზურაბიშვილმა არ დააკონკრეტა, რამდენი ლარით გაიზრდება ბიუჯეტი და აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტროსთან განათლების სამინისტროს დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები.*

*ამასთან, მან კომენტარი გააკეთა მანდატურის სამსახურებთან დაკავშირებით. მისი თქმით, მანდატურის სამსახურის გაუქმება არ იგეგმება, მოხდება მისი ტრანსფორმაცია და ფუნქციები გადაიხედება.*

*„ჩვენ არ ვგეგმავთ მანდატურის სამსახურის გაუქმებას. მიგვაჩნია, რომ მანდატურები სასწავლო პროცესში არ უნდა ერეოდნენ და ისინი უსაფრთხოების დაცვით უნდა შემოიფარგლონ“, – აღნიშნა ზურაბიშვილმა.*

*მისივე შეფასებით, მანდატურის სამსახურის შემოღების შემდეგ სკოლებში გაიზარდა მოსწავლეების დასწრება და შემცირდა კრიმინალური შემთხვევები.*

წინ, საქართველო!



# იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის

**თურმე, სულ ტყუილად ვნერვიულობდით — საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ხორვატიაში გამართულ „ევრო — 2013“-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე ზუსტად მაშინ „გაისროლა“, როცა უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა.**

შეგახსენებთ, რომ სტარტზე მასპინძლებთან მარცხის (0:2) შემდეგ ჭაბუკი „ჯვაროსნები“ აზერბაიჯანელ თანატოლებს დაუზავდნენ (1:1), რის შედეგადაც ბოლო ტურში აუცილებლად უნდა მოეგოთ ისლანდიელთათვის.

ჩრდილოელებს აქტივში 4 ქულა ჰქონდათ და, თავის მხრივ, ფრეც აწყობდათ, თუმცა კახი კაჭარავას შეგირდებმა კრიტიკულ ვითარებაში ძალები მოიკრიბეს და გუნდის კაპიტან ბაჩანა არაბულის „დუბლით“ კუნძულელებს სძლიეს კიდეც — 2:0.

რასაკვირველია, ელიტ-რაუნდის საგზურის მოპოვებისთვის ბიჭები მადლიერებას იმსახურებენ, მაგრამ არის საკითხი, რომელიც შეშფოთებას იწვევს. ესაა მოჭარბებული ემოციები, რისი დაოკებაც ვერაფრით ვერ ხერხდება, ამას კი სამივე შეხვედრაში გაძევება და დამატებითი პრობლემები მოჰყვა. **ხორვატეთი — აზერბაიჯანი 7:1.**

**საბოლოო მდგომარეობა: ხორვატეთი — 7, საქართველო, ისლანდია — 4-4, აზერბაიჯანი — 1 ქულა.**

როგორც მოგეხსენებათ, სულ „ძველ სამყაროში“ 12 შესარჩევი ჯგუფია შექმნილი და აქედან ათში უკვე გამოვლინდნენ უძლიერესნი. ხორვატთა და ქართველთა გარდა, გაისად გაზაფხულზე ელიტ-რაუნდში ითამაშებენ ჰოლანდია, პოლონეთი, ჩეხეთი, საბერძნეთი, გერმანია, ირლანდია, საფრანგეთი, პორტუგალია, ბელგია, იტალია, ბოსნია, ნორვეგია, შოტლანდია, შვეიცარია, რუსეთი, შვედეთი, ინგლისი, უკრაინა, ესპანეთი (კონტინენტის მოქმედი ჩემპიონი), სერბეთი, თურქეთი (საუკეთესო კოეფიციენტის მქონენი), აგრეთვე საუკეთესო მესამეადგილოსანი.

რაც შეეხება დანარჩენ ოთხ ვაკანსიას, მას პირველი (ავსტრია, უნგრეთი, ანდორა, ბულგარეთი) და მეორე (ფინეთი, დანია, მონტენეგრო, კვიპროსი) ჯგუფების რჩეულნი შეავსებენ, ეს 28 ნაკრები 7 კვარტეტად კენჭისყრით დაიყოფა, ფინალური ტურნირი კი გაისად 20 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით ლიტვაში მოეწყობა.

გიორგი შოთაძე

თაობა

# კვირას სქოთებთან ომი გვაქვს

**როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები მალევე მოეგო გონს უკრაინელებთან ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის სტარტზე განცდილი მარცხის შემდეგ (1:3) და გუშინ ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართული მეორე ტურის შეხვედრა ასეთივე ანგარიშით მოუგო ჯგუფის გამოკვეთილ აუტსაიდერს — ლუქსემბურგს (ზარანდია, კერძევაძე, მესხი).**

ასე რომ, ელიტ-რაუნდში გამსვლელთა ვინაობა კვირას საქართველო — შოტლანდიისა და უკრაინა — ლუქსემბურგის მატჩების დასრულების შემდეგ გაირკვევა. მიზნის მისაღწევად გიორგი დევდარიანის შეგირდებს მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ.

**უკრაინა — შოტლანდია 0:0.**

**შოტლანდია, უკრაინა — 4-4, საქართველო — 3, ლუქსემბურგი — 0 ქულა.**

მანუჩარ გიორგაძე



ფეხბურთი

# პლიუს ოთხი

**XXIII ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის სტარტზე მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა.**

საუბარია გათამაშების სატურნირო ცხრილის სათავეში თბილისის „დინამოს“ მიერ მოპოვებულ ოთხქულიან ჰანდიკაპზე, თუმცა უახლოესი მდევრების ჭეშმარიტ შესაძლებლობათა გათვალისწინებით, ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბს წოდების დასაბრუნებლად კიდევ კარგა გვარიანი გარჯა მოუწევს.

**XII ტურის შედეგები:** „დინამო“ — „მეტალურგი“ 3:0 (დვალი, ინწკირველი — საკუთარ კარში, კვარაცხელია), „ბაია“ — „ტორპედო“ 2:1, „ვიტ ჯორჯია“ — „დილა“ 0:2 (ეს გორელთა ზედიზედ მერვე გამარჯვებაა), „მერანი“ — „ზესტაფონი“ 0:3, „ჩიხურა“ — „კოლხეთი“ 2:1, „ბათუმი“ — „სიონი“ 0:1.

**სატურნირო მდგომარეობა:** „დინამო“ — 29, „დილა“, „ტორპედო“ — 25-25, „ჩიხურა“ — 23, „ზესტაფონი“, „ბაია“ — 20-20, „მეტალურგი“ — 15, „ვიტ ჯორჯია“ — 14, „მერანი“ — 12, „სიონი“ — 10, „ბათუმი“ — 8, „კოლხეთი“ — 3 ქულა.

**ზეგ ითამაშებენ:** „ტორპედო“ — „დინამო“, „ჩიხურა“ — „დილა“, „მეტალურგი“ — „ზესტაფონი“, „ბათუმი“ — „ბაია“, „ვიტ ჯორჯია“ — „მერანი“, „კოლხეთი“ — „სიონი“.



ვიტალი ჯაფარიძე
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

რაგბი

# „საალაფოდ“ — პორტუგალიის გავლით



**გაისად 20-წლამდელ მორაგბეთა მსოფლიოს ალაფი (ფაქტობრივად, ჩემპიონატი) გაიმართება. იმ შეჯიბრების ერთადერთი დარჩენილი საგზურისთვის პაექრობაში ექვსი გუნდი ჩაება. შესარჩევ ტურნირს პორტუგალიის დედაქალაქი მასპინძლობს.** A ჯგუფში 19-წლამდელმა „ბორჯღალოსნებმა“ სტარტზე ესპანელები დაამარცხეს — 31:13. პირენეელებმა რუმინელებს მოუგეს — 16:10. ბოლო ტურში კარპატელებს ჩვენმა ბიჭებმაც აჯობეს 20:11. არადა, ანგარიში ზუსტი საჯარიმო დარტყმით რუმინელებმა გახსნეს, თუმცა ქართველებმა მალევე შეძლეს წონასწორობის აღდგენა. ტაიმის მიწურულამდე საგრძნობ უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია. შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე ახალგაზრდა „ჯვაროსნებმა“ ლელო გაიტანეს გარდასახვითურთ და 13:6 დაწინაურდნენ.

შეხვედრის მეორე ნახევარიც მსგავსი სცენარით წარიმართა. მეტოქეებმა თითო ლელო მიითვალეს. საბოლოოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველმა მორაგბეებმა 20:11 გაიმარჯვეს და გადამწყვეტ პაექრობაში B ჯგუფის გამარჯვებულ პორტუგალიას დაუპირისპირდებიან, რომელმაც ჯერ რუსებს აჯობა (14:8), შემდეგ კი ბელგიელებს სძლია (21:18). ფინალური შეხვედრა 3 ნოემბერს ლისაბონში გაიმართება.

ლექსო ცინცაძე

სუმო

# კინკილა „ვერცხლის“ ამარა



**ჰონკონგში გამართულ სუმოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლებისთვის ახალგაზრდა სპორტსმენებმაც იასპარეზეს. ქართველთაგან მძიმე წონაში გიგა გელაშვილმა იყოჩაღა, რომელმაც, ფინალური შეხვედრის გარდა, ყველა შეხვედრა მოიგო და ვერცხლის მედალი დაიმსახურა.**

აბსოლუტურ წონით კატეგორიაში მესამე ადგილისთვის იჭიდავა ზაზა ხუბულურმა, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრა დათმო და მე-5 ადგილს დასჯერდა. გელაშვილმა, ხუბულურმა და ზურაბ აქუბარდიამ გუნდურში მე-4 ადგილი დაიკავეს — ბოლო შეხვედრა ჩვენებმა უკრაინელებთან დათმეს და უმედლოდ დარჩნენ.

უფროსებში ქართველი სპორტსმენები არ მონაწილეობდნენ.

გივი გაგუა

ადამიანი დროში

# დიდი პიროვნება, დიდი ჩემპიონი

**დღეს ალექსანდრე მეტრეველს 68 წელი უსრულდება. მერე რა, რომ მრგვალი თარიღი არაა — ლეგენდარული ქართველი ჩოგბურთელი, მე თუ მკითხავთ, სპორტული სეზონის განმავლობაში არაერთხელ უნდა იღებდეს მილოცვებს.**

მაგალითად, იმ დღეს, როცა იგი, პირველი საბჭოელთა და ჯერჯერობით, და, ალბათ, კარგა ხნის განმავლობაში მომავალშიც, ერთადერთი ქართველთა შორის, უიმბლდონის ფინალისტი გახდა (1973); ოლგა მოროზოვასთან ერთად ორჯერ ითამაშა ამავე ზეპრესტიჟული ტურნირის შერეულ წყვილთა თანრიგის გადამწყვეტ რაუნდში; ან თუნდაც მაშინ, როცა ასევე ერთადერთმა თანამემამულე ვაჟთაგან, საერთაშორისო რეიტინგის გოგოლათა ათეულში შეაბიჯა.



ალარაფერს ვამბობთ იმ უამრავ ტიტულზე, რომელიც ჩოგნის ამ სწორუპოვარმა დიდოსტატმა საკავშირო და ევროპულ კორტებზე მოიპოვა, მათ შორის მრავალჯერ — ასევე საამაყო მეწყვილესთან — თეიმურაზ კაკულიასთან პარტნიორობით.

დიდი სპორტსმენი რომ სახელოვანი მამულიშვილია, თუნდაც უკანასკნელ პერიოდში დაკავებული აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია ადასტურებს, როცა იგი პირუთვნელად ამხელდა ვაინაცების მმართველობის მანკიერებებს.

**მრავალჟამიერ, ბატონო ალიკ!**

გია პლატონიშვილი

## „რას იტყვის ჩვენზე შთამომავლობა?“

# „ხერხემალი“ სამკურნალოა

**„ვაი უსამართლო განაჩენის გამომტანთ და უკანონო მსჯავრმდებელთ“ (ესაია, 10)**

**სახელმწიფო ხელისუფლების სამ უმაღლეს ორგანოს შორის მართლმსაჯულებას, სრულიად სამართლიანად, ხერხემალს უწოდებენ. თუ ქვეყანაში სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა სათანადო დონეზეა, ხალხი თუ დარწმუნებულია, რომ კანონის წინაშე ყველა თანაბარია და დანაშაულის ჩამდენი დაისჯება, მაშინ ასეთ სახელმწიფოში ხელისუფლებასა და ხალხს შორის, მთავრობასა და ხალხს შორის ერთიანობა, ურთიერთნდობა და პატივისცემა გარანტირებულია. ასეთ სახელმწიფოს, რაგინდ მცირე იყოს იგი ტერიტორიითა და მოსახლეობის რაოდენობით, ხელს უბრალოდ ვერავინ წამოარტყამს, უკადრებელს ვერ ჰკადრებს და მისი საერთაშორისო ავტორიტეტიც მაღალი იქნება. მაგრამ ხერხემალი თუ დაავადებულია და ეს დაავადება პროგრესირებადია, მაშინ ასეთი სახელმწიფოს აწმყოც და მომავალიც არასახარბიელოა. მას სასწრაფო მკურნალობა სჭირდება.**

ვერც ერთი ოპოზიციური ძალა, ვერც ერთი ოპოზიციური პარტია, ისე ვერ იმოქმედებს ხელისუფლებისა და მისი ცალკეული წარმომადგენლების რეიტინგზე, როგორც სამართალდამცავი ორგანოების კარგი თუ ცუდი მუშაობა. ქალაქმა და სოფელმა თუ იცის ვინ ჩაიდინა დანაშაული და შენ კი დამნაშავეს ამართლებ, ამით ძალიან დიდ დარტყმას აყენებ სახელმწიფო ხელისუფლებას და მის საერთაშორისო პრესტიჟს.

ყველაზე საშიში დაავადება, რომელსაც გვერდითი მოვლენები – ცრუ დასმენები, საბუთების გაყალბება, მექრთამეობა და ა. შ. თან ახლავს, არის უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრება. ჩვენს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ამ კატეგორიის პატიმრების დიდი რაოდენობით არსებობაზე პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ე. თევდორაძე, სახალხო დამცველი ს. სუბარი და სხვებიც არაერთხელ მიუთითებდნენ. ასეთი საგანგაშო განცხადებები არაერთხელ მოუსმენიათ სახელმწიფო ხელისუფლების, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მაგრამ მათი მხრიდან არავითარი მნიშვნელოვანი რეაგირება არ ყოფილა. ალბათ, ვერ დამისახელებენ ვერც ერთ ფაქტს, როდესაც ასეთი განცხადებების შემდეგ თუნდაც ერთი უდანაშაულო პატიმარი გაეთავისუფლებინოთ. სასამართლო პროცესებზე ბრალდებულთა 0,01 პროცენტის გათავისუფლება ხომ მსოფლიოში არნახული მაჩვენებელია.

ცნობისათვის: სამტრედიის სასამართლომ 1906 წელს 507 საქმე გაარჩია და 227 ბრალდებული გაამართლა. მომდევნო 1907 წელს კი 302 დანაშაულში ეჭვმიტანილის საქმე განიხილა, რომელთაგან 147 გაამართლა.

ასე განიხილებოდა საქმეები სასამართლოებში იმ დროს. ეტყობა საკუთარი ძროხის მოპარვისთვის მაშინ არ აპატიმრებდნენ.

თუნდაც ერთი უდანაშაულო პატიმრის გათავისუფლება და იმ სამართალდამცავების დასჯა, რომლებმაც იგი დააპატიმრეს, რა კარგი ფაქტი იქნებოდა საქართველოში დემოკრატიის ერთგულების დემონსტრირებისათვის! მართლმსაჯულების ორგანოების წარმომადგენლები ბოდიშს თუ მოიხდიდნენ და თან სათანადო კომპენსაციასაც გაიღებდნენ, კიდევ უფრო უკეთესი. ასეთი რამ არ მომხდარა არც პარიზში, არც ლონდონში, არც ნიუ-იორკში და არც სხვა დიდ ქალაქში (ჩვენი პრეზიდენტი ასეთ შედარებებს ხშირად მიმართავსძ. ჩვენ მსოფლიოში ყველაზე მაგრები ვიქნებოდით.

პიროვნების უფლებები დიქტატურული მმართველობის მქონე ქვეყნებში არ არსებობს, მაგრამ ჩვენ ხომ დემოკრატიისაკენ მივისწრაფით, ჩვენ ხომ დასავლეთის ქვეყნების ფასეულობების ერთგული დამცველები ვართ. ამ ფასეულობების დაცვის ერთ-ერთი მთავარი პირობა ჩვენი მეგობარი ქვეყნის – აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციაშია გაცხადებული: თუ მთავრობა ვერ ასრულებს თავის ძირითად მოვალეობებს, ე. ი. ვერ იცავს ადამიანის ბუნებრივ უფლებებს, მაშინ ხალხს უფლება აქვს და მოვალენი არიან დაამხონ ასეთი მთავრობაო. მოვალენი არიანო!! აქ, ალბათ, იგულისხმება ის ხალხი, ვისაც თავმოყვარეობა შენარჩუნებული აქვს, ვისაც შეუძლია დასაჯოს ისინი, ვინც განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა თავისი ქვეყნის წინაშე. ერი, რომელიც თავის მოღალატეებს ვერ ან არ ასამართლებს და არ სჯის, არშემდგარი ერია!

ცნობისათვის: გასული საუკუნის 30-იან წლებში, სუკის 30 ათასზე მეტი თანამშრომელი დახვრიტეს. ასე მკაცრად დასაჯეს ისინი, რომლებიც რეპრესიების დროს განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ.

უნებურად მახსენდება ზოგიერთი ყოფილი სამართალდამცველის (მათ შორის გენერლისძ პრესაში გაკეთებული განცხადება – ჩვენ პარტიის ყველა დავალებას პირნათლად ვასრულებდითო. არ ვიცი როგორ უნდა გავიგოთ მათი ასეთი გამოსვლა. ახალ ხელისუფლებას ხომ არ სთავაზობენ უსიტყვო მორჩილებით სამსახურს? რაიმე საერთოს ხომ არ ხედავენ ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის? ან, შეიძლება, იმდენად გაუნათლებელი, არაპროფესიონალი გენერლები ედგნენ ჩვენს მართლმსაჯულების ორგანოებს სათავეში, რომ ვერ აცნობიერებდნენ უბრალო ჭეშმარიტებას – მართლმსაჯულება რომელიმე პარტიას ან პიროვნებას კი არ უნდა მსახურებდეს, არამედ კანონს და მხოლოდ კანონს. ყოველ შემთხვევაში, იმდენი ტაქტი უნდა ჰქონდეთ, რომ ასეთი განცხადებები საჯაროდ არ გააკეთონ.

სამართალდამცავ ორგანოებში დღე-



საც, რომ ბევრი არაპროფესიონალი მუშაობს, ეს ფაქტია. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ მომრავლდნენ თითქმის ყველა სოფლის ორღობეში გახსნილი უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტების კურსდამთავრებულები, რომლებისთვის დანაშაულის გახსნის თანამედროვე მეთოდები ჩინური ანბანია. ისინი მოქმედებენ პრინციპით „ძალა გაქვს, ჭკუა საჭირო არ არის“. მთავარია, იპოვონ ერთი ან ორი ცრუ მოწმე და საქმე „გახსნილია“. ამგვარად „გახსნილი“ საქმეების ბოლომდე მიყვანას, ანუ დახურვას, ხელს უწყობს ბოლო დროს ჩვენს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებიც. ამის შესახებ ცნობილი იურისტი, პროფესორი გ. მეფარიშვილი გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გულისტკივილით წერდა.

ჩვენში მოქმედი კანონის მიხედვით, დანაშაულში ეჭვმიტანილი შეიძლება, სასამართლოზე დაუსწრებლად გაასამართლონ, თუ იგი საგამოძიებო ორგანოების არაობიექტურობის, ან სხვა მიზეზების გამო იმალება. ეს ცვლილება კიდევ უფრო ამრავლებს სასამართლოების უსამართლო გადაწყვეტილებებს, რადგან ბრალდებულს ერთმევა თავის მართლების საშუალება.

მოქალაქეთა უფლებების დასაცავად, ოპოზიციის ინიციატივით, 1679 წლის 27 მარტს ინგლისის პარლამენტმა მიიღო მნიშვნელოვანი კანონი, რომელიც ცნობილია „ჰაბეას კორპუს აქტის“ სახელით. ამ კანონის მიხედვით, მოსამართლეს უნდა დაედასტურებინა დაპატიმრების კანონიერება, დაპატიმრების მოტივი და კონკრეტული ბრალდება. ამ მიზნით მოსამართლე მოითხოვდა პატიმარი აუცილებლად მიეყვანათ მასთან დაპატიმრების კანონიერების დასადგენად და საქმის სასამართლოში გასარჩევად. ჩვენში კი, ამ კანონის მიღებიდან 300 წლის შემდეგ, მოსამართლე ისე აწერს ხელს საბრალდებო დასკვნას ორი ან სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შესახებ, რომ არც დანაშაულის ჩადენის მოტივს კითხულობენ, არც ეჭვმიტანილის დასწრებას მიიჩნევენ სავალდებულოდ და არც მის ადვოკატს აცნობებენ „ღია სასამართლო სხდომის“ ჩატარების შესახებ (ფაქტები ხომ არ სჭირდება გენერალურ პროკურატურას ან უმაღლეს სასამართლოს?ძ.

მეფის რუსეთში, ლეყერეთელ გლეხს საჩივარი რომ დაეწერა სენატში – უმაღლეს სასამართლო ინსტანციაში, პასუხს სამ თვეში მიიღებდა.

ჩვენს საზოგადოებაში ბევრი ფეოდალური გადმონაშთი რომ იყო, ვიცოდი, მაგრამ სენიორულ სასამართლოებზე დაბლა თუ დავეშვებოდით, არ მეგონა.

მინდა შევეხო კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხს, რომელიც ბოლო დროს ჩვენი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. ეს საკითხი პატიმრების გაჭირვებულ ყოფას ეხება. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად, პატიმრებს ცხოვრების ნორმალური პირობები უნდა ჰქონდეთ, ანუ უნდა იქნას დაცული კანონი პატიმართა უფლებების შესახებ.

შუა საუკუნეების ინგლისში, სასამართლო პროცესის დროს, მოსამართლეს, გვერდით, ღამის ქოთანი ედგა იმისთვის, რომ არ დავიწყებოდა – ისიც ისეთივე ადამიანია, როგორიც განსასჯელი და მისთვის უჩვეულო, ზედმეტი მკაცრი განაჩენი არ გამოეტანა.

არც ჩვენს პარლამენტარებსა და მოსამართლეებს არ აწყენდა პარლამენტში კანონების მიღებისას, ან სასამართლო პროცესებზე გვერდით პატარ-პატარა ღამის ქოთნების დადგმა.

მეფის რუსეთში, საპატიმრო ადგილებში, კანონის დაცვის, სანიტარიული პირობების, კვებისა და სხვა საკითხებს მეთვალყურეობდა სპეციალური კომიტეტი, რომელშიც მართლმსაჯულების ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად საზოგადოების ნდობით აღჭურვილი პირებიც იყვნენ. ციხეები და სხვა სახის საპატიმროები ყოველ წელს მარაგდებოდნენ ტანსაცმლით, თეთრეულით, საწოლებით, ფეხსაცმლებით პატიმრებისთვის. ქუთაისის ციხესთან არსებობდა ეკლესია, ბათუმის ციხის პატიმრებს, კვირაში ერთხელ ეწვეოდა ადგილობრივი მონასტრის დიაკვანი, სოხუმის ციხეს კვირაში ერთხელ – ადგილობრივი მღვდელი. ეს იმ ნიკოლაი II დროს იყო, 1917 წელს, ყველაზე მოწინავე კლასმა – პროლეტარიატმა რომ ჩამოაგდო ტახტიდან „კომუნიზმის დიადი იდეების“ განსახორციელებლად.

როდესაც ნაპოლეონმა ფუშე პოლიციის მინისტრის თანამდებობიდან მეორედ დაითხოვა, ასეთი სიტყვებით მიმართა მას: „...მჯერა თქვენი ერთგულებისა და მონდომებისა, მაგრამ მაინც არ ძალმიძს მინისტრის თანამდებობა შეგინარჩუნოთ. ამით ჩემს ღირსებას შევლახავდი. პოლიციის მინისტრის თანამდებობაზე მყოფი სრული, შეუზღუდავი ნდობით უნდა სარგებლობდეს, ხოლო ასეთი ნდობა აღარ შეიძლება არსებობდეს მას შემდეგ, რაც დიდმნიშვნელოვან საქმეში ჩემი და სახელმწიფოს სიმშვიდე ბედის სასწორზე შეაგდეთ. ამას ჩემს თვალში სანაქებო საბაბიც კი ვერ გაამართლებს“. ე. ი. პოლიციის მინისტრის თანამდებობაზე მყოფი პიროვნების მიმართ გამოთქმული ბრალდებები, თუგინდ ისინი სრულიად უსაფუძვლო იყოს, მის მიმართ „სრული შეუზღალავი ნდობის“ საფუძველს არ იძლევა და მინისტრის თანამდებობაზე მისი დარჩენა ყოვლად შეუძლებელიაო.

ნიკოლაი I-ს უნდოდა ბატონყმობის გაუქმება რუსეთში, მაგრამ, იმის შიშით, რომ მისი ძირითადი დასაყრდენი – თავადაზნაურობა განაწყენდებოდა, ვერ გაბედა. ამიტომ, იმის მიუხედავად, რომ იგი თავის ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო, ისტორიას შემორჩა, როგორც დესპოტი და ევროპის ჟანდარმი. მისი მემკვიდრე ალექსანდრე II კი, ბატონყმობის გაუქმების გამო, „გამანთავისუფლებლის“ ზედწოდებით შევიდა ისტორიაში და მადლიერმა ადამიანებმა, პატივისცემის ნიშნად, იტალიური წითელი მარმარილოსაგან, რუსეთის სხვა იმპერატორებთან შედარებით ყველაზე კარგი სარკოფაგი გაუკეთა.

ამგვარად, თუ ხალხისა და ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედი ძალების მიმართ მკვეთრი, რადიკალური ღონისძიებების განხორციელების გამბედაობა არ აქვს, სახელმწიფოს სათავეში მყოფმა პირმა იმაზე მაინც უნდა იფიქროს „რას იტყვის მასზე შთამომავლობა“.

**ვაჟა თვალავაძე**

## საredaქციო ფოსტიდან

# „ორშაბათის ფიქრები“

**ბატონი მერაბ მეტრეველი, როგორც ჯიშიანი თხა, ისე ხტუნაობს „დაუკრეფავიდან“ „დაკრეფილში“ და პირიქით. რომ ჩათვალონ „იმათი“ ხარ და შესატევად მოემზადებიან, მაშინ „ისვრი“ ისეთ აზრებს, რომ ჩვენიანი გვგონიხარ და ეს მეორდება უსასრულოდ შენს „შემოქმედებაში“.**

ერთი ეს მითხარი, ბიძინა ივანიშვილს რომ ეცილები კადრების შერჩევის საკითხში, ეს საიდან? რა ცენზით და უფლებით? რატომ გამოდიხარ „არამკითხე მოამბის“ როლში. გამოცდილება კადრების შერჩევაში შენს მოგვარეს ჩინებული ჰქონდა, მაგრამ ის როინი იყო (და არის, ღმერთმა ჯანი მისცესძ, შენ კი საიდან მოგვევლინე? საუკეთესო ფეხბურთელი იყო შოთა იამანიძეც (ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, ადრე გარდაიცვალაძ, მაგრამ ფეხბურთს თავი რომ დაანება, უძლიერესი მშენებელ-კონსტრუქტორი და, საერთოდ, სამშენებლო საქმის შეუდარებელი სპეციალისტი გახდა. ამ მხრივ არც მანუჩარ მაჩაიძეს, გივი ჩოხელს, ვლადიმერ ბარქაიას და მრავალ სხვას არ შურცხვენია თავი. რაც შეეხება კახი კალაძეს, მან დაამტკიცა, რომ გარდა ფეხბურთისა, უმაღლეს დონეზე არის დაუფლებული ნამდვილ, პატიოსან და არა თაღლითურ ბიზნესს. არც წარმატებული მენეჯერობაა მისთვის უცხო.

„ნიჭი ძამიკო, ნიჭი“...

ასე რომ, ჩემი კეთილი რჩევა იქნება მუშა მდგომარეობაში იქონიო მუხრუჭები. დარდი ნუ გაქვს, როგორც ბატონმა ბიძინამაც ბრძანა. კახა ნიჭიერი კაცია და უდავოდ გაამართლებს. საერთოდ კი ახალგაზრდა კაცის კბენასა და „დათარსვას“ ვერიდოთ. მართლია, ეს გრძნობა უკვე ჩამოყალიბდა ჩვენი ერის ერთ-ერთ დამახასიათებელ უარყოფით თვისებად, მაგრამ, ვეცადოთ მოვიცილოთ. თუ მივიხედ-მოვიხედავთ დავინახავთ, რომ ამ მხრივ სხვები გვჯობნიან.

**რევაზ ტყემალაძე,**
**საქართველოს დამსახურებული მშენებელი.**

## შემთხვევა

# სასამართლოს მანდატურები 20 წლის ახალგაზრდას ფიზიკურად გაუსწორდნენ

**თბილისის საქალაქო სასამართლოში მანდატურები თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ ახალგაზრდას, რომელიც შემდეგ დააკავეს. ეს ინფორმაცია for.ge-ს ადვოკატმა მამუკა ნოზაძემ მოაწოდა, რომელიც ამ ფაქტის თვითმხილველია.**

მან მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის სახელზე განცხადება წინ შეიტანა. ნოზაძის განმარტებით, ზემოხსენებული ფაქტის შემდეგ გაიფიცნენ მანდატურის სამსახურის გარკვეული თანამშრომლები – ისინი მენეჯერის მხრიდან მათდამი ზეწოლის ფაქტებს აპროტესტებენ.



ადვოკატ მამუკა ნოზაძის თქმით, საქალაქო სასამართლოში ინციდენტი ასე მოხდა – დაახლოებით 20-21 წლის ახალგაზრდას შენობის პირველ სართულზე, №7 და №9 დარბაზებს შორის თავს დაესხა დაახლოებით 15 მანდატური და სასტიკი ფორმებით გაუსწორდა. მამუკა ნოზაძე ამბობს რომ მას თავდამსხმელების ამოცნობა ადვილად შეუძლია.

სანამ მამუკა ნოზაძე მთავარი პროკურორის სახელზე განცხადებას შეიტანდა, მანამდე იქვე, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს მამია ფხაკაძეს განცხადებით მიმართა და მოუწოდა ახალგაზრდის წინააღმდეგ მორიგი უკანონობა არ დაეშვა.

ნოზაძე ამბობს, რომ თავდამსხმელი მანდატურები ფხაკაძის დაქვემდებარებული „ზონდერბრიგადის“ წევრები არიან და მათ, როგორც საჯარო მოხელეებს, არ გააჩნიათ თმენის ვალდებულება, რაც წესით და კანონით უნდა ჰქონდეთ.

მამუკა ნოზაძე ამბობს, ნაცემი ახალგაზრდა ბიჭის ვინაობა არ იცის. მან მხოლოდ იმის გაგება შეძლო, რომ ეს ახალგაზრდა სასამართლოში პრაქტიკას გადიოდა.

**ნინო მიქიაშვილი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## სექსოლოგია

# ამაზე, თურმე, ყველანი ფიქრობენ

**ამერიკელმა მკვლევარებმა ერთობ საგულისხმო რამ დაადგინეს: თურმე ადამიანებში სექსუალურად ყველაზე აქტიური თვე აგვისტო ყოფილა.**

ამასთან, გამოკვლევებით დასტურდება, რომ სქესობრივი აქტის დროს ინფარქტი – ასაკოვან მამაკაცთა პრეროგატივაა. თანაც ალკოჰოლი, ახალ „სატრფოსთან“ თავის გამოჩენის სურვილით გამოწვეული მღელვარება, არარეგულარული სქესობრივი კონტაქტები – ყველაფერი ეს მამაკაცებს რისკის ზონაში აქცევს. **მტკიცე წყვილის რეგულარული სქესობრივი ურთიერთობები კი, პირიქით, გულისთვის სარგებლობის მომტანია. ბელფასტის კვინსის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს: ამ დროს კვირაში სამი სქესობრივი აქტი ორჯერ ამცირებს გულის შეტევის ან ინსულტის ალბათობას. სხვათა შორის, ეს არა მარტო მამაკაცებს, არამედ ქალებსაც ეხებათ. ისრაელელმა მედიკოსებმა დაამტკიცეს: კვირაში ორი ორგაზმი ქალებში გულის დაავადებათა განვითარების ალბათობას 30 პროცენტით ამცირებს.**

სექსის შემდეგ მამაკაცები ხშირად იძინებენ, რაც ქალებს სწყინთ, რადგან მიაჩნიათ, რომ პარტნიორი მათ მიმართ გულგრილია, არ უყვარს. სინამდვილეში კი **სექსის შემდეგ მამაკაცებს თავად ბუნება აძინებს.** ფრანგმა მკვლევარებმა რამდენიმე ათასი მოხალისის თავის ტვინის სკანირება ჩაატარეს და დაამტკიცეს, რომ სექსის შემდეგ მამაკაცის თავის ტვინის ქერქის ის უბანი, რომელიც ორგაზმის შემდეგ „შეგნებულობაზეა“ პასუხისმგებელი, ითიშება. თავის ტვინის ორი სხვა ნაწილი კი – სარტყლის ქერქი და ნუშისებრი სხეული – ამ დროს სხეულს სქესობრივი ლტოლვის ჩახშობის ნიშნებს სეროტინისა და ოპიატების მეშვეობით უგზავნიან. ქალებში კი სიმშვიდის ფაზაში გადასვლის მექანიზმი სულ სხვანაირია.

**სექსთან დაკავშირებული ფანტაზიები ყველა ჯანმრთელი, სქესობრივად მოწიფული ადამიანისთვის სავსებით ნორმალურია,** ამტკიცებენ ექიმები, თან დასძენენ, რომ **ქალები მამაკაცთან ფიზიკურ სიახლოვეზე გაცილებით ხშირად ფიქრობენ, თუმცა კი მამაკაცების ოცნებები გაცილებით გარყვნილია.**

გრანადის უნივერსიტეტმა რამდენიმე ათასი ესპანელის გამოკითხვა ჩაატარა, რის შედეგად აღმოჩნდა, რომ **სექსუალური ფანტაზიები 18-დან 73 წლამდე ასაკის ორივე სქესის ფაქტობრივად ყველა ადამიანს მოსდის.** ამ „ოცნებებში“ ყველაზე ამაზრზენი ქალებმა თავიანთი დამონების ფანტაზიებს უწოდეს, მამაკაცებმა კი – ჰომოსექსუალურ თემებზე ფანტაზიებს. ამასთან, **უჩვეულო ადგილებზე, სადაც საყვარელ ადამიანთან სექსუალურ ურთიერთობას სიამოვნებით დაამყარებდნენ, უკლებლივ ყველანი ფიქრობენ.**

ბრიტანელმა მეცნიერებმა მასშტაბური გამოკითხვა ჩაატარეს, რომელმაც აჩვენა, რომ, მამაკაცთა აზრით, სექსისთვის საუკეთესო დროა ადრე დილა. სხვათა შორის, ამას ფიზიოლოგიაც ხელს უწყობს, რადგან სწორედ დილაობითაა მამაკაცის დასვენებული სხეული მზად სექსუალური კონტაქტებისთვის. ქალბატონებმა კი სექსისთვის ყველაზე საუკეთესო დროდ შაბათის საღამოს 11 საათი დაასახელეს, გარდა ამისა, **გამოკითხულთა 80 პროცენტს მიაჩნია, რომ საუკეთესოა სპონტანური სექსი.**

სექსთან დაკავშირებული კიდევ ერთი გამოკვლევა ფრანგმა მეცნიერებმა ჩაატარეს, რომელმაც უარყო მანამდე საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, თითქოს მამაკაცები სექსზე საშუალოდ ყოველ 7 წამში ერთხელ ფიქრობენ. სინამდვილეში მამაკაცები სექსზე დღეში 19-ჯერ, ანუ დაახლოებით იმდენჯერვე ფიქრობენ, რამდენსაც საჭმელზე (18-ჯერ) და ოდნავ მეტს, ვიდრე ძილზე (11-ჯერ). ქალები კი ინტიმურ ურთიერთობებზე გაცილებით მეტჯერ (15-ჯერ) ფიქრობენ, ვიდრე ეს მანამდე იყო მიჩნეული.

**ოთარ მერიშვილი**



## ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან



### „მე მაქვს „ქართულ ოცნებაში“ ჩასმული „ნაციონალების“ აგენტებისა და ამრევების სია!“

– აცხადებს სენაკელი ოპოზიციონერი ინგა ქარდავა, – დიახ, სწორედ ასე აწერია დოკუმენტს– „ამრევნი“! ამ სიაში შედიოდნენ პედაგოგებიც. ისეთი ხალხი ეწერა ამრევებსა და აგენტებში, მთელი ღამე არ მიძინია, გაოგნებული ვარ. მაქვს ზონდერების სიაც და სქემა, როგორ და ვის უნდა შეეკრიბა ხალხი და გადაეყვანა, სადაც „პარტია“ უბრძანებდა.

**„ალია“**

### „ნაციონალები“ ციხეში ბუნტს გეგმავენ!

ლალი მოროშკინა აცხადებს, რომ „ნაცმოძრაობა“ ციხის შიგნიდან გატეხვაზე მუშაობს და რევანშისთვის ემზადება. პატიმრების წამებაში ეჭვმიტანილი თანამშრომლები დავით ხუჭუა და გაგა მკურნალიძე ადასტურებენ იმას, რომ ყოფილი ხელისუფლება ციხიდან აპირებს ამ ხელისუფლების ატრიალებას.

მოროშკინა მოითხოვს, სასწრაფოდ შეიქმნას ანტიკრიზისული კომისია, რომელიც გაარკვევს, პატიმრების თვითდაზიანება და პროტესტი გარედან არის მართული თუ არა.

**„ახალი თაობა“**

### ენერგეტიკის სამინისტროში ნოღაიდელის აჩრდილი გამოჩნდა

ენერგეტიკის ახალი მინისტრის კახა კალაძის პირველი მოადგილე გია ქავთარაძე იქნება. ქავთარაძე ენერგეტიკოსი არ არის, მაგრამ იგი ყოფილი პრემიერის ნოღაიდელის დიდი ხნის პარტნიორია. ამ უკანასკნელს კი ენერგეტიკის სფეროში ყოველთვის დიდი ინტერესები გააჩნდა. სხვათა შორის, ენერგეტიკის სამინისტროში მაღალ თანამდებობებზე ის პიროვნებები აღმოჩნდნენ, რომელთაც ამ სექტორში ყველაზე დიდი კერძო ინტერესი აქვთ.

**„რეზონანსი “**

**იყიდება ბინა სასწრაფოდ!**

**ქალაქის ცენტრში, ოპერის უკან,** თაბუკაშვილის 32-ში სასწრაფოდ და ძალიან იაფად იყიდება **4-ოთახიანი, 100 კვ.მ.** მაღალჭერიანი ბინა, დაშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 70 ათასი დოლარი. **დარეკეთ საღამოს – 247-57-79.**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**299-62-77; 599 32-85-76.**

## ანეკდოტები

– ექიმო, ერთ კვირაში ხელახლა ვქორწინდები, – ეუბნება 85 წლის მოხუცი მკურნალ-გერონტოლოგს.

– ო, ეს შესანიშნავია! რამდენი წლისაა პატარძალი?

– თვრამეტის.

– უნდა გაგაფრთხილოთ, რომ საწოლში მეტისმეტად აქტიურობამ შესაძლოა ლეტალური შედეგიც გამოიწვიოს.

– თუ მოკვდება, მოკვდეს, სხვა ქალს შევირთავ!

* * *

ყოველთვის მიკვირდა, როდესაც რომელიმე პიროვნებაზე ამბობდნენ შესანატრი შრომისმოყვარეობით გამოირჩევაო. ვერ გამიგია, რა არის ამაში შესანატრი?

* * *

რა სჭირდებათ მიგრანტსა და ჩინოვნიკს სამუშაოს მისაღებად? ორივემ უნდა დაამტკიცოს, რომ კარგად ფლობს ენას.



* * *

– პეტკა, თქვენ ახლა ჩემი მარჯვენა ხელი ხართ! – ეუბნება შეფი დაწინაურებულ ხელქვეითს.

– ივან ივანიჩ, მე უკვე მეშინია ჩემი მოვალეობებისა...

* * *

„შენ ჩემი 43 წლის ქალი კი არა, 25-წლიანი სტაჟის მქონე 18 წლის გოგო ხარ. დაბადების დღეს გილოცავ, საყვარელო!“

* * *

ქმარი სამსახურში წასასვლელად ემზადება. ცოლი დგას და უყურებს მის ჩაცმას.

– ისე მითვალთვალებ, თითქოს სამსახურში კი არა, ქალებში მივდიოდე!

– ისეთი დახეული წინდები ჩაიცვი, დარწმუნებული ვარ, რომ სამსახურში მიდიხარ.

## კადრი



**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24